

الإسلام - نبذة موجزة عن الإسلام
(مشتملة على الأدلة) (الجمعية)

ისლამი

ისლამი

ისლამის მოკლე მიმოხილვა ისე, როგორც მოვიდა წმინდა ყურანში და შუამავლის სუნნაში

ეს წიგნი მოკლედ ხსნის ისლამის მნიშვნელოვან საფუძვლებს, სწავლებებს, მის ლამაზ მხარეებსა და ძირითად წყაროებს, რომლებსაც წმინდა ყურანი და შუამავლის სუნნეთი წარმოადგენს. წიგნი განკუთვნილია ყველა დროისა და ადგილმდებარეობის, ზრდასრული მუსლიმებისა და არამუსლიმებისთვის, მათ ენებზე. დროისა და ცხოვრებისეული პირობების მიუხედავად.

(ეს ვერსია შეიცავს მტკიცებულებებს წმინდა ყურანიდან და შუამავლის სუნნადან)

1. ისლამი არის ალლაჰის გზავნილი ყველა ადამიანის მიმართ. ის არის ღვთიური გზავნილი, რომელიც არის მარადიული და საბოლოო ღვთიური წერილი.

ისლამი არის ალლაჰის გზავნილი ყველა ადამიანის მიმართ. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{ وَمَا أَرْسَلْنَاكَ إِلَّا كَافَّةً لِّلنَّاسِ بَشِيرًا وَنَذِيرًا وَلَٰكِنَّ أَكْثَرَ النَّاسِ لَا يَعْلَمُونَ }

«და არ წარმოგვიგზავნიხარ შენ, თუ არა მთელი ხალხისთვის მახარობლად და შემგონებლად, მაგრამ ხალხის უმეტესობამ არ უწყის!» [საბა: 28] დიადი ალლაჰი ამბობს:

{ قُلْ يَا أَيُّهَا النَّاسُ إِنِّي رَسُولُ اللَّهِ إِلَيْكُمْ جَمِيعًا }

«უთხარი: ჰეი, ადამიანებო! ჭეშმარიტად, მე ალლაჰის შუამავალი ვარ, ყველა თქვენგანისთვის» [ალ-ა'რაფ: 158] უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{ يَا أَيُّهَا النَّاسُ قَدْ جَاءَكُمْ الرَّسُولُ بِالْحَقِّ مِنْ رَبِّكُمْ فَأَمِنُوا خَيْرًا لَّكُمْ ۖ وَإِنْ تَكْفُرُوا فَإِنَّ لِلَّهِ مَا فِي السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضِ ۖ وَكَانَ اللَّهُ عَلِيمًا حَكِيمًا }

«ჰეი ადამიანნო! თქვენთან მოვიდა შუამავალი ჭეშმარიტებით თქვენი ღმერთისგან და ირწმუნეთ, ეს უმჯობესია თქვენთვის. ალლაჰისაა ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, და ალლაჰი ყოვლისმცოდნე, ბრძენია» [ან-ნისა: 170].

ისლამი არის ღმერთის მარადიული გზავნილი, და ღვთიური გზავნილების ბოლო გზავნილი. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{مَا كَانَ مُحَمَّدٌ أَبَا أَحَدٍ مِّن رِّجَالِكُمْ وَلَكِن رَّسُولَ اللَّهِ وَخَاتَمُ النَّبِيِّينَ ۚ وَكَانَ اللَّهُ بِكُلِّ شَيْءٍ عَلِيمًا}

«არ არის მუჰამმადი არავისი მამა, თქვენი კაცებიდან, არამედ იგია ალლაჰის შუამავალი და შუამავალთა ბეჭედი, ჭეშმარიტად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა». [ალ-აჰზაბ: 40]

2. ისლამი არ არის ერთი რომელიმე ერის ან ეთნოსის კუთვნილი რელიგია არამედ, ის ალლაჰის რელიგია მთელი კაცობრიობისთვის:

ისლამი არ არის ერთი რომელიმე ერის ან ეთნოსის კუთვნილი რელიგია არამედ, ის ალლაჰის რელიგია მთელი კაცობრიობისთვის, წმინდა ყურანში უზენაესი ალლაჰის პირველი ბრძანება ასეთია:

{يَا أَيُّهَا النَّاسُ اعْبُدُوا رَبَّكُمُ الَّذِي خَلَقَكُمْ وَالَّذِينَ مِنْ قَبْلِكُمْ لَعَلَّكُمْ تَتَّقُونَ}

«ჰეი, ადამიანებო! თაყვანი ეცით თქვენს ღმერთს, რომელმაც შეგქმნათ თქვენ და ისინი, ვინც იყვნენ თქვენზე უწინ! რათა ეგების ღმერთის გემინოდეთ!» [ალ-ბაყარა: 21]
უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{يَا أَيُّهَا النَّاسُ اتَّقُوا رَبَّكُمُ الَّذِي خَلَقَكُمْ مِنْ نَفْسٍ وَاحِدَةٍ وَخَلَقَ مِنْهَا زَوْجَهَا وَبَثَّ مِنْهُمَا رِجَالًا كَثِيرًا وَنِسَاءً }

«ჰეი, ადამიანებო! გეშინოდეთ თქვენი ღმერთის, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ ერთი სულისგან, და გააჩინა მისგან მისი მეწყვილე (მეუღლე), და მათ ორისგან გაამრავლა უამრავი კაცი და ქალი» [ან-ნისა: 1] იბნ უმარი გადმოგვცემს (აღლაჰის იყოს მათით კმაყოფილი), რომ აღლაჰის შუამავალმა (აღლაჰის ღოცვა და მშვიდობა მას) მექქას ადების დღეს ხალხს მიმართა და თქვა:

«يَا أَيُّهَا النَّاسُ إِنَّ اللَّهَ قَدْ أَذْهَبَ عَنْكُمُ غُبَّةَ الْجَاهِلِيَّةِ وَتَعَاضَمَهَا بِإِبَانِهَا فَالنَّاسُ رَجُلَانِ: بَرٌّ تَقِيَّ كَرِيمٌ عَلَى اللَّهِ وَفَاجِرٌ شَقِيٌّ هَيْنَ عَلَى اللَّهِ وَالنَّاسُ بَنُو آدَمَ وَخَلَقَ اللَّهُ آدَمَ مِنْ تُرَابٍ قَالَ اللَّهُ: {يَا أَيُّهَا النَّاسُ إِنَّا خَلَقْنَاكُمْ مِنْ ذَكَرٍ وَأُنْثَى وَجَعَلْنَاكُمْ شُعُوبًا وَقَبَائِلَ لِتَعَارَفُوا } إِنَّ أَكْرَمَكُمْ عِنْدَ اللَّهِ أَتْقَاكُمْ ۚ إِنَّ اللَّهَ عَلِيمٌ خَبِيرٌ {الحجرات: 13}»

«ჰეი, ადამიანებო! ჭეშმარიტად, აღლაჰმა ჩამოგაცილათ უმეცრების მედიდურობა, წინაპრებით თავის ქება. კაცი ორნაირია: კაცი კეთილი, ღვთისმოშიში, აღლაჰის წინაშე დაფასებული და კაცი ცოდვების მიმართ უდარდელი, უბედური და აღლაჰის წინაშე დაუფასებელი. ადამიანები ყველანი ადამის შვილები არიან, ადამი აღლაჰმა მიწისგან

გააჩინა. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: «ჰეი, ადამიანებო! ერთი მამრისაგან და ერთი მდედრისაგან გაგაჩინეთ და რომ

შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. თქვენგან ყველაზე უფრო პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმომშიშია. ჭეშმარიტად, ალლაჰი ყოვლისმცოდნე, ყველაფრისმცოდნეა!»

[ალ-ჰუჯურათ: 13] ჰადისს გადმოგვცემს ათ-თირმეზი (3270). არ არსებობს წმინდა ყურანის ბრძანებებში ან ძვირფასი შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას) ბრძანებებში კანონი, რომელიც მიეკუთვნება კონკრეტულ ტომს ან ჯგუფს, მათი გვარის, წარმომავლობის ან ეროვნების გამო.

3. ისლამი არის ღვთიური გზავნილი, რომელიც მოვიდა უწინარესი შუამავლების და მოციქულების (ლოცვა და შვიდობა მათ) გზავნილების სრულყოფილებისთვის, რომელსაც უქადაგებდნენ მათ ხალხს.

ისლამი არის ღვთიური გზავნილი, რომელიც მოვიდა უწინარესი შუამავლების და მოციქულების (ლოცვა და შვიდობა მათ)

გზავნილების სრულყოფილებისთვის, რომელსაც უქადაგებდნენ მათ ხალხს. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{ إِنَّا أَوْحَيْنَا إِلَيْكَ كَمَا أَوْحَيْنَا إِلَى نُوحٍ وَالنَّبِيِّينَ مِنْ بَعْدِهِ ۚ وَأَوْحَيْنَا إِلَى إِبْرَاهِيمَ وَإِسْمَاعِيلَ وَإِسْحَاقَ وَيَعْقُوبَ وَالْأَسْبَاطِ وَعِيسَى وَأَيُّوبَ وَيُونُسَ وَهَارُونَ وَسُلَيْمَانَ ۚ وَآتَيْنَا دَاوُدَ زُبُورًا }

«ჩვენ ზემთაგაგონეთ შენ გამოცხადება ისევე, როგორც ზემთავაგონეთ ნუჰს და შუამავლებს მის შემდგომ, ისმა'ილს, ისჰაკს, ია'ყუბს და მათ მოდგმას; 'ისას, აიუბს, იუნუსს, ჰარუნს, სულეიმანს, და ვუბოძეთ დავუდს ფსალმუნი(ზებური)» [ან-ნისა: 163] ეს არის რელიგია, რომელიც ზეგარდმოუვლინა ალლაჰმა შუამავალ მუჰამმადს (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას), ეს არის რელიგია, რომელიც დაუდგინა ალლაჰმა წინათმყოფ შუამავლებს და მოუწოდა მათ მისკენ, უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{ شَرَعَ لَكُمْ مِنَ الدِّينِ مَا وَصَّى بِهِ نُوحًا وَالَّذِي أَوْحَيْنَا إِلَيْكَ وَمَا وَصَّيْنَا بِهِ إِبْرَاهِيمَ وَمُوسَى وَعِيسَى أَنْ أَقِيمُوا الدِّينَ وَلَا تَتَفَرَّقُوا فِيهِ ۚ كَبُرَ عَلَى الْمُشْرِكِينَ مَا تَدْعُوهُمْ إِلَيْهِ ۚ اللَّهُ يَجْتَبِي إِلَيْهِ مَنْ يَشَاءُ وَيَهْدِي إِلَيْهِ مَنْ يُنِيبُ }

«დააკანონა თქვენთვის სარწმუნოებაში ის, რაც უბრძანა ნუჰს და რომელიც ზემთაგაგონეთ

შენ, რაც ვუბრძანეთ იბრაჰიმს, მუსას და 'ისას:
"რომ დაიცავით სარწმუნოება და ნუ დაიყოფით
მასში. მძიმეა

წარმართებისთვის(მუშრიქებისთვის) იგი,
რისკენაც შენ მოუწოდებ. ალლაჰი გამოარჩევს
თავისკენ, ვისაც ინებებს, და

უწინამძღვრებს თავისკენ, ვინც მას
მიუბრუნდება» [ამ-შურა: 13] ეს არის რაც
ალლაჰმა ზემთააგონა შუამავალ მუჰამმადს
(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), ეს არის
იმის დამამოწმებელი, რაც მოვიდა წინა ღვთიურ
წიგნებში: თავრათში და ინჯილში, სანამ მათი
დამახინჯება მოხდებოდა. უზენაესმა ალლაჰმა
თქვა:

{وَالَّذِي أُوحِيَنا إِلَيْكَ مِنَ الْكِتَابِ هُوَ الْحَقُّ مُصَدِّقًا لِمَا بَيْنَ يَدَيْهِ ۚ إِنَّ اللَّهَ بِعِبَادِهِ
لَخَبِيرٌ بَصِيرٌ }

«და ის, რაც ზემთაგეგონა შენ წიგნისგან,
ქეშმარიტებაა- დასტურად იმისა, რაც იყო მასზე
უწინ. ალლაჰი ხედავს თავის მსახურებს»
[ფატირ: 31].

4. შუამავლების (მშვიდობა მათ) რელიგია იყო ერთი, მაგრამ კანონმდებლობა სხვადასხვა:

შუამავლების (მშვიდობა მათ) რელიგია იყო
ერთი, მაგრამ კანონმდებლობა სხვადასხვა.
უზენაესი ალლაჰი ამბობს:

﴿وَأَنزَلْنَا إِلَيْكَ الْكِتَابَ بِالْحَقِّ مُصَدِّقًا لِّمَا بَيْنَ يَدَيْهِ مِنَ الْكِتَابِ وَمُهَيِّمًا عَلَيْهِ ۖ فَاحْكُم بَيْنَهُم بِمَا أَنزَلَ اللَّهُ ۚ وَلَا تَتَّبِعْ أَهْوَاءَهُمْ عَمَّا جَاءَكَ مِنَ الْحَقِّ ۚ لِكُلِّ جَعَلْنَا مِنْكُمْ شِرْعَةً وَمِنْهَاجًا ۚ وَلَوْ شَاءَ اللَّهُ لَجَعَلَكُمْ أُمَّةً وَاحِدَةً وَلَكِنْ لِّيَبْلُوَكُمْ فِي مَا آتَاكُمْ ۚ فَاسْتَبِقُوا الْخَيْرَاتِ ۚ إِلَى اللَّهِ مَرْجِعُكُمْ جَمِيعًا فَيُنَبِّئُكُمْ بِمَا كُنْتُمْ فِيهِ تَخْتَلِفُونَ ۝﴾

«და გარდმოგივლინეთ შენ წიგნი
ჭეშმარიტებით, დასტურად იმ წიგნთა, რაც იყო
მანამდე და მის დამცველად. განსაჯე მათ შორის
იმის მიხედვით, რაც გარდმოგივლინა ალლაჰმა
და ნუ აჰყვები მათ სურვილებს, რამეთუ შენ
გებოდა ჭეშმარიტება. ჩვენ თითოეულ თქვენგანს
დავუდგინეთ კანონი და გზა. და რომ ინებოს
ალლაჰმა, გაქცევდათ თქვენ ერთიან თემად.
მაგრამ გამოგცდით იმით, რაც გებოდათ. ეცადეთ
შეეჯიბროთ ერთმანეთს კეთილი საქმეების
კეთებაში. ყველანი ალლაჰთან დაბრუნდებით
და იგი განგიცხადებთ იმას, რაზედაც ვერ

თანხმდებოდი» [ალ-მაიდა: 48]. შუამავალმა (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«أَنَا أَوْلَى النَّاسِ بِعِيسَى ابْنِ مَرْيَمَ فِي الدُّنْيَا وَالْآخِرَةِ وَالْأَنْبِيَاءِ إِخْوَةٌ لِعَلَّتْ أُمَّهَاتُهُمْ شَتَّى وَدِينُهُمْ وَاحِدٌ»

«მე ხალხთა შორის ყველაზე ახლოს ვარ (უპირატესობა მაქვს) მარიამის მე ისასთან ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც, მოციქულები ერთმანეთის ძმები არიან, მათი დედები სხვადასხვა არიან, მაგრამ მათი რელიგია ერთი». გადმოსცა ალ-ბუხარიმ (3443).

5. ისლამი მოუწოდებს ისე, როგორც

მოუწოდებდა ყველა შუამავალი:

ნუჰი(ნოე), იბრაჰიმი, მუსა, სულეიმანი, დაუდი და ისა (მშვიდობა იყოს მათზე) რწმენისკენ, რომ ღმერთი აღლაჰია და ის არის შემქმნელი, სარჩოს მომცემი, ვინც აცოცხლებს და ვინც აკვდინებს, ის არის ხელმწიფობის მფლობელი, ის არის რომელიც განკარგავს ყველა საქმეს, ის არის მოწყალე და შემწყალებელი.

ისლამი მოუწოდებს ისე, როგორც მოუწოდებდა ყველა შუამავალი: ნუჰი,

იბრაჰიმი, მუსა, სულეიმანი, დაუდი და ისა (მშვიდობა იყოს მათზე) რწმენისკენ, რომ ღმერთი ალლაჰია და ის არის შემქმნელი, სარჩოს მომცემი, ვინც აცოცხლებს, და ვინც აკვდინებს, ის არის ხელმწიფობის მფლობელი, ის არის რომელიც განკარგავს ყველა საქმეს, ის არის მოწყალე და შემწყალელებელი. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{ يَا أَيُّهَا النَّاسُ اذْكُرُوا اللَّهَ عَلَيْكُمْ ۖ هَلْ مِنْ خَالِقٍ غَيْرِ اللَّهِ يَرْزُقُكُمْ مِنَ السَّمَاءِ وَالْأَرْضِ ۚ لَا إِلَهَ إِلَّا هُوَ ۚ فَآَنَىٰ تُؤْفَكُونَ }

«ჰეი ხალხო! გაიხსენეთ ალლაჰის წყალობა თქვენზე. განა არის სხვა გამჩენი ალლაჰის გარდა, რომელიც გაძლევთ სარჩოს ციდან თუ მიწიდან? არ არსებობს ღვთაება მის გარდა, და სადღა მიექცევით!» [ფაატირ: 3] უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{ قُلْ مَنْ يَرْزُقُكُمْ مِنَ السَّمَاءِ وَالْأَرْضِ أَمَّنْ يَمْلِكُ السَّمْعَ وَالْأَبْصَارَ وَمَنْ يُخْرِجُ الْحَيَّ مِنَ الْمَيِّتِ وَيُخْرِجُ الْمَيِّتَ مِنَ الْحَيِّ وَمَنْ يُدِيرُ الْأَمْرَ ۚ فَسَيَقُولُونَ اللَّهُ ۚ قُلْ أَفَلَا تَتَّقُونَ }

«უთხარი: ვინ გაძლევთ თქვენ სარჩოს ციდან და მიწიდან? ან ვინ ფლობს სმენასა და თვალთახედვას?! ვის გამოჰყავს ცოცხალი

მკვდრისაგან და ვის გამოჰყავს მკვდარი ცოცხალისაგან?! ვინ განაგებს საქმეებს?! იტყვიან: ალლაჰი. და უთხარი: განა არ გეშინიათ?!» [იუნუს: 31] უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{أَمْ يَبْدَأُ الْخَلْقَ ثُمَّ يُعِيدُهُ وَمَنْ يَرْزُقُكُمْ مِنَ السَّمَاءِ وَالْأَرْضِ ۖ أَيْلَهُ مَعَ اللَّهِ ۚ قُلْ هَآئِنَا بُرْهَانُكُمْ إِنْ كُنْتُمْ صَادِقِينَ}

«ვინ გააჩინა პირველად და მერე ვინ დააბრუნებს?! და , ვინ გაძლევთ სარჩოს ცით და მიწით?! განა არის ალლაჰთან ერთად სხვა ღვთაება?! უთხარი: მოიტანეთ თქვენი მტკიცებულება, თუკი მართალნი ხართ!» [ან-ნამლ: 64]

ყველა შუამავალი და მოციქული (მშვიდობა მათ) წარმოიგზავნენ ერთადერთი ალლაჰის თაყვანისცემაზე მოწოდებისთვის, უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{وَلَقَدْ بَعَثْنَا فِي كُلِّ أُمَّةٍ رَسُولًا أَنِ اعْبُدُوا اللَّهَ وَاجْتَنِبُوا الطَّاغُوتَ فَمِنْهُمْ مَنْ هَدَى اللَّهُ وَمِنْهُمْ مَنْ حَقَّتْ عَلَيْهِ الضَّلَالَةُ فَسِيرُوا فِي الْأَرْضِ فَانظُرُوا كَيْفَ كَانَ عَاقِبَةُ الْمُكَذِّبِينَ}

«და ვფიცავ! ჩვენ წარმოგზავნეთ ყოველ ერთან შუამავალი, რათა ალლაჰისათვის

თაყვანი ეცათ და განდგომოდნენ ტალუთს, და მათგან იყვნენ ისინი, რომელნიც ალლაჰმა დაადგინა ჭეშმარიტ გზაზე და იყვნენ ისეთნიც, რომელთაც

განესაზღვრათ ცდომილება. მაშ, იარეთ ქვეყანაზე და ნახეთ, როგორი იყო მატყუარების აღსასრული!» [ან-ნაჰლ: 36] უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{وَمَا أَرْسَلْنَا مِنْ قَبْلِكَ مِنْ رَسُولٍ إِلَّا نُوحِي إِلَيْهِ أَنَّهُ لَا إِلَهَ إِلَّا أَنَا فَاعْبُدُونِ}

«და არ წარგვიგზავნია შენზე უწინ ერთი შუამავალიც კი, რომ არ ზემთაგვეგონებინა მისთვის: არ არსებობს ღვთაება ჩემს გარდა, და მე მეთაყვანეთ» [ალ-ანბია: 25] ალლაჰმა ნუჰ შუამავალზე (მშვიდობა მას) გვამცნო და თქვა:

{يَا قَوْمِ اعْبُدُوا اللَّهَ مَا لَكُمْ مِنْ إِلَهٍ غَيْرُهُ إِنِّي أَخَافُ عَلَيْكُمْ عَذَابَ يَوْمٍ عَظِيمٍ}

«და ვფიცავ, უწინ ნუჰი წარვაგზავნეთ თავის ხალხთან, და უთხრა: ო ხალხო ჩემო, თაყვანი ეცით ალლაჰს, არ გყავთ თქვენ ღვთაება მის გარდა. ხოლო მე მეშინია, თქვენ გამო დიდებული დღის სასჯელისა» [ალ-ა'რაფ: 59] ალლაჰის მეგობარი იბრაჰიმ შუამავალი

(მშვიდობა მას) თქვა - როგორც გვამცნო ეს ალლაჰმა - მან თქვა:

{ وَإِبْرَاهِيمَ إِذْ قَالَ لِقَوْمِهِ اعْبُدُوا اللَّهَ وَاتَّقُوهُ ذَلِكُمْ خَيْرٌ لَّكُمْ إِن كُنْتُمْ تَعْلَمُونَ }

«და იბრაჰიმი, როცა უთხრა თავის ხალხს: თაყვანი ეცით ალლაჰს და გემინოდეთ მისი. ეს უკეთესია თქვენთვის, რომ იცოდეთ!» [ალ-'ანქაბუთ: 16] საალიჰ შუამავალმა თქვა (მშვიდობა მას) როგორც ალლაჰმა გვამცნო მასზე:

{ قَالَ يَا قَوْمِ اعْبُدُوا اللَّهَ مَا لَكُمْ مِنْ إِلَهٍ غَيْرُهُ ۖ قَدْ جَاءَتْكُمْ بَيِّنَةٌ مِّن رَّبِّكُمْ ۖ هَذِهِ نَاقَةُ اللَّهِ لَكُمْ آيَةٌ ۖ فَذَرُوهَا تَأْكُلْ فِي أََرْضِ اللَّهِ ۚ وَلَا تَمْسُوهَا بِسُوءٍ فَيَأْخُذَكُمْ عَذَابُ اللَّهِ ۗ أَلَيْسَ }

«უთხრა: ო ხალხო ჩემო, თაყვანი ეცით ალლაჰს, არ გყავთ სხვა ღვთაება მის გარდა. თქვენ უკვე გებოძათ ცხადი ნიშანი თქვენი ღმერთისაგან. ეს დედალი აქლემი ალლაჰისა არის თქვენი ნიშანი. გაუშვით, ძოვოს ალლაჰის მიწაზე და ავს ნუ გაუკეთებთ, თორემ დაგატყდებათ მტანჯველი სასჯელი!» [ალ-'არაფ: 73] თქვა შუ'აიბ შუამავალმა (მშვიდობა მას), როგორც გვამცნო ეს ალლაჰმა:

{يَا قَوْمِ اعْبُدُوا اللَّهَ مَا لَكُمْ مِنْ إِلَهٍ غَيْرُهُ ۖ قَدْ جَاءَكُمْ بَيِّنَةٌ مِنْ رَبِّكُمْ ۖ فَاقُوفُوا الْكَيْلَ
وَالْمِيزَانَ وَلَا تَبْخَسُوا النَّاسَ أَشْيَاءَهُمْ وَلَا تُفْسِدُوا فِي الْأَرْضِ بَعْدَ إِصْلَاحِهَا ۚ
ذَلِكُمْ خَيْرٌ لَكُمْ إِنْ كُنْتُمْ مُؤْمِنِينَ}

«ო, ხალხო ჩემო, თაყვანი ეცით ალლაჰს, არ გყავთ ღვთაება მის გარდა. ადრე თქვენ მოგეცათ ცხადი ნიშანი თქვენი ღმერთისაგან. სრულად დაიცავით საზომი და სასწორი, და ნუ დააკლებთ ხალხს მათ ნივთებს. უკეთურებას ნუ ამრავლებთ ქვეყანაზე მისი გამართვის შემდგომ. ეს უკეთესია თქვენთვის, თუკი ხართ მორწმუნენი» [ალ-ა-რაფ: 85]

როცა პირველად ალლაჰი დაელაპარაკა მუსას (მშვიდობა მას) უთხრა უზენაესმა:

{ وَأَنَا اخْتَرْتُكَ فَاسْتَمِعْ لِمَا يُوحَىٰ (13) إِنَّنِي أَنَا اللَّهُ لَا إِلَهَ إِلَّا أَنَا فَاعْبُدْنِي وَأَقِمِ
الصَّلَاةَ لِذِكْرِي (14) }

«მე გამოგარჩიე შენ, და შეისმინე ის, რაც ზემთაგეგონება!

ჭეშმარიტად მე ვარ ალლაჰი! არ არსებობს ღვთაება, ჩემს გარდა. თაყვანი მეცი და ლოცვად დადექი ჩემს სახსენებლად!» [ტაკა: 13-14]
ალლაჰმა გვამცნო მუსასთან დაკავშირებით

(მშვიდობა მას), რომ ის მიეკედლა ალლაჰს და თქვა:

{إِنِّي عُذْتُ بِرَبِّي وَرَبِّكُمْ مِنْ كُلِّ مُتَكَبِّرٍ لَا يُؤْمِنُ بِيَوْمِ الْحِسَابِ}

«ჭეშმარიტად მე მივეკედლე ჩემს ღმერთს და თქვენს ღმერთს ყოველი მედიდურისგან, რომელსაც არ სწამს ანგარიშვითების დღის» [ლაფირ: 27] ალლაჰმა გვამცნო ისაზე (მშვიდობა მას), რომ მან თქვა:

{إِنَّ اللَّهَ رَبِّي وَرَبُّكُمْ فَاعْبُدُوهُ ۚ هَذَا صِرَاطٌ مُسْتَقِيمٌ}

«ჭეშმარიტად, ალლაჰია ჩემი ღმერთიც და თქვენი ღმერთიც, მაშ ეთაყვანეთ მას, ესაა სწორი გზა» [ალი იმრან: 51]. უზენაესი ალლაჰი გვამცნობს ასევე ისაზე (მშვიდობა მას), რომ მან თქვა:

{يَا بَنِي إِسْرَائِيلَ اعْبُدُوا اللَّهَ رَبِّي وَرَبَّكُمْ ۚ إِنَّهُ مَنْ يُشْرِكْ بِاللَّهِ فَقَدْ حَرَّمَ اللَّهُ عَلَيْهِ الْجَنَّةَ وَمَأْوَاهُ النَّارُ ۚ وَمَا لِلظَّالِمِينَ مِنْ أَنْصَارٍ}

«ისრაილის შვილებო, თაყვანი ეცით ალლაჰს, ჩემს ღმერთსა და თქვენს ღმერთს. უეჭველად, ვინც ალლაჰს თანაზიარს დაუდგენს, იმას აუკრძალა ალლაჰმა სამოთხე და მისი თავშესაფარი ცეცხლია. და არ

ეყოლებათ უსამართლოებს შემწეები» [ალ-მაიდა: 72].

უფრო მეტიც, თვით თავრათში და ინჯილშიც მოვიდა დასტური იმაზე, რომ ღვთისმსახურება მხოლოდ ერთადერთ ალლაჰს ეკუთვნის, მოცემულია რჯულის წიგნში მეორე კანონში მუსას სიტყვები მშვიდობა მას: «ისმინე! ო ისრაელის მოდგმავ, ღმერთია ჩვენი ღვთაება, ის ერთადერთი ღმერთია» ასევე მოვიდა ერთღმერთიანობის დასტური ინჯილში მარკოსის სახარებაში, სადაც ისა (მშვიდობა მას) ამბობს: «ჰეშმარიტად, უპირველესი დარიგება არის: ისმინე ო ისრაელის მოდგმავ, ღმერთი ჩვენი ღვთაება, ერთადერთი ღმერთია».

უზენაესი ალლაჰი გვამცნობს, რომ ყველა შუამავალი წარმოგზავნილი იქნა ამ დიადი მისიით, ეს არის მოწოდება ერთღმერთიანობისკენ, უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{وَلَقَدْ بَعَثْنَا فِي كُلِّ أُمَّةٍ رَسُولًا أَنِ اعْبُدُوا اللَّهَ وَاجْتَنِبُوا الطَّاغُوتَ ۚ فَمِنْهُمْ مَنْ هَدَى اللَّهُ وَمِنْهُمْ مَنْ حَقَّتْ عَلَيْهِ الضَّلَالَةُ}

«და ვფიცავ! ჩვენ წარმოვგზავნეთ ყოველ ერთან შუამავალი, რათა ალლაჰისათვის თაყვანი ეცათ და განდგომოდნენ ტალუთს, და მათგან იყვნენ ისინი, რომელნიც ალლაჰმა დაადგინა ჭეშმარიტ გზაზე და იყვნენ ისეთნიც, რომელთაც განესაზღვრათ ცდომილება» [ან-ნაჰლ: 36] დიდებულმა ალლაჰმა ბრძანა: «უთხარი: განა გიფიქრიათ, რას ეთაყვანებით, ალლაჰის მაგივრად? მიჩვენეთ, მიწის რა ნაწილი გააჩინეს მათ, ანდა იქნებ მათ წილი უდევთ ცათა შექმნაში? მომიტანეთ ერთი წიგნი მაინც უწინდელი ამისა(ყურანი), ანდა ცოდნის ნაკვალევი მაინც, თუკი მართალნი ხართ» [ალ-აჰკაფ: 4] თქვა შეიხ ას-სა'დიმ (ალლაჰმა შეიწყალოს ის): «ცნობილია, რომ მუშრიქთა უარყოფა თავიანთ შირქში (ალლაჰზე თანაზიარის დადგენაში) არ არის დაფუძნებული არავითარ მტკიცებულებაზე და არგუმენტზე. ისინი მხოლოდ ცრუ ეჭვებს და არასწორ აზრებს ეყრდნობიან; არასწორი გონება არასწორ მდგომარეობას გამოიწვევს, მათ

მდგომარეობაზე დაკვირვება მათი ნაშრომების და ქმედებების შესწავლა და დაკვირვება იმათ მდგომარეობაზე, ვინც გალია სიცოცხლე მათ მსახურებაში მოუტანეს მათ რაიმე სარგებელი? (ანუ იმ სათაყვანებლებმა, რომელსაც თაყვანებიან ალლაჰის გარდა) ამქვეყნად ან იმქვეყნად?» თავსირ ალ-ქარიმ ალ-მანნაან: 779.

6. უზენაესი ალლაჰი - ის არის გამჩენი და მხოლოდ ის იმსახურებს ღვთისმსახურებას, მასთან ერთად სხვა ვინმეზე თაყვანისცემა მიუღებელია.

ალლაჰია მხოლოდ ის ვინც იმსახურებს ღვთისმსახურებას, მასთან ერთად სხვა ვინმეზე თაყვანისცემა მიუღებელია. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{يَا أَيُّهَا النَّاسُ اعْبُدُوا رَبَّكُمُ الَّذِي خَلَقَكُمْ وَالَّذِينَ مِنْ قَبْلِكُمْ لَعَلَّكُمْ تَتَّقُونَ (21) الَّذِي جَعَلَ لَكُمُ الْأَرْضَ فِرَاشًا وَالسَّمَاءَ بِنَاءً وَأَنْزَلَ مِنَ السَّمَاءِ مَاءً فَأَخْرَجَ بِهِ مِنَ الثَّمَرَاتِ رِزْقًا لَكُمْ ۖ فَلَا تَجْعَلُوا لِلَّهِ أَنْدَادًا وَأَنْتُمْ تَعْلَمُونَ (22) }

«ჰეი, ადამიანებო! თაყვანი ეცით თქვენს ღმერთს, რომელმაც შეგქმნათ თქვენ და ისინი, ვინც იყვნენ თქვენზე უწინ! რათა ეგების ღმერთის გეშინოდეთ!

რომელმაც თქვენთვის დედამიწა სარეცელად გაფინა და ზეცა სახურავად, ზეციდან წვიმა გარდმოავლინა და ამ წვიმით ნაირ-ნაირი ნაყოფი სარჩოდ აღმოგიცენათ. და ნუ დაუდგენთ ალლაჰს თანაზიართ როცა თქვენ იცით» [ალ-ბაყარა: 21-22]. რომელმაც გაგვაჩინა ჩვენ და ჩვენზე წინ მყოფი თაობები, და დაადგინა დედამიწა ჩვენთვის სარეცელად, გარდმოავლინა ჩვენზე ზეციდან წვიმა და აღმოაცენა ამ წვიმით ჩვენთვის ნაირ-ნაირი ნაყოფი; მხოლოდ ის არის ერთადერთი, ვინც იმსახურებს თაყვანისცემას, უზენაესი ბრძანებს:

{ يَا أَيُّهَا النَّاسُ اذْكُرُوا اللَّهَ عَلَيْكُمْ ۖ هَلْ مِنْ خَالِقٍ غَيْرِ اللَّهِ يَرْزُقُكُمْ مِنَ السَّمَاءِ وَالْأَرْضِ ۚ لَا إِلَهَ إِلَّا هُوَ ۚ فَآَنَّى تُفْكُونَ }

«ჰეი ხალხო! გაიხსენეთ ალლაჰის წყალობა თქვენზე. განა არის სხვა გამჩენი ალლაჰის გარდა, რომელიც გაძლევთ სარჩოს ციდან თუ მიწიდან? არ არსებობს ღვთაება მის გარდა, და რაოდენ ცდუნებულნი ხართ!» [ფატირ: 3] რომელიც აჩენს და აძლევს სარჩოს. სწორედ ის არის ერთადერთი, ვინც იმსახურებს თაყვანისცემას, უზენაესი ამბობს:

{ دَلِكُمْ اللّٰهُ رَبُّكُمْ ۚ لَا إِلَٰهَ إِلَّا هُوَ ۖ خَالِقُ كُلِّ شَيْءٍ فَاعْبُدُوهُ ۚ وَهُوَ عَلَىٰ كُلِّ شَيْءٍ وَكِيلٌ }

«იგია ალლაჰი- თქვენი ღმერთი. არ არსებობს ღვთაება მის გარდა, ყველაფრის გამჩენი. თაყვანი ეცით მას და ის არის ყველაფრის მფარველი» [ალ-ან'ამ: 102].

ყველაფერი რასაც ეთაყვანებიან ალლაჰის გარდა არცერთი არ იმსახურებს თაყვანისცემას, რადგან ისინი არ ფლობენ იოტისოდენსაც კი არც ზეცაში და არც მიწაზე, არ ჰყავს ალლაჰს არავითარი თანაზიარი, არც შემწე და არც დამხმარე არ სჭირდება მას, და როგორ შეიძლება ალლაჰთან ერთად სხვის მოხმობა ან მისთვის თანაზიარის დადგენა, უზენაესი ამბობს:

{ قُلْ ادْعُوا الَّذِينَ رَعَيْتُمْ مِّنْ دُونِ اللَّهِ ۚ لَا يَمْلِكُونَ مِثْقَالَ ذَرَّةٍ فِي السَّمَاوَاتِ وَلَا فِي الْأَرْضِ وَمَا لَهُمَا مِنْ شِرْكٍَ وَمَا لَهُ مِنْهُمْ مِّنْ ظَهِيرٍ }

«უთხარი: მოუხმეთ იმას, ვის შესახებაც ჰყვებოდით ალლაჰის გარდა. არ ფლობენ ისინი მისხალსაც არც ცათა შინა და არც ქვეყანასა ზედა და არა აქვთ მათ ამაში თანაზიარობა. და არავინ ჰყოლია მას მათგან შემწე» [საბა: 22]

უზენაესი და ყოვლადუნაკლო ალლაჰია, რომელმაც გააჩინა ყველა ქმნილება და შექმნა ისინი არარსებობიდან, ეს ყველა ქმნილება მიუთითებს მის არსებობაზე, ღვთაებრიობაზე და იმაზე, რომ მხოლოდ ის იმსახურებს თაყვანისცემას, უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{ وَمِنْ آيَاتِهِ أَنْ خَلَقَكُمْ مِنْ تُرَابٍ ثُمَّ إِذَا أَنْتُمْ بَشَرٌ تَنْتَشِرُونَ (20) وَمِنْ آيَاتِهِ أَنْ خَلَقَ لَكُمْ مِنْ أَنْفُسِكُمْ أَزْوَاجًا لِتَسْكُنُوا إِلَيْهَا وَجَعَلَ بَيْنَكُمْ مَوَدَّةً وَرَحْمَةً ۚ إِنَّ فِي ذَلِكَ لَآيَاتٍ لِقَوْمٍ يَعْقِلُونَ (21) وَمِنْ آيَاتِهِ خَلْقُ السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضِ وَاخْتِلَافُ أَلْسِنَتِكُمْ وَالْوِلْدَانِ ۚ إِنَّ فِي ذَلِكَ لَآيَاتٍ لِّلْعَالَمِينَ (22) وَمِنْ آيَاتِهِ مَنْامُكُمْ بِاللَّيْلِ وَالنَّهَارِ وَابْتِغَاؤُكُمْ مِنْ فَضْلِهِ ۚ إِنَّ فِي ذَلِكَ لَآيَاتٍ لِقَوْمٍ يَسْمَعُونَ (23) وَمِنْ آيَاتِهِ يُرِيكُمُ الْبَرْقَ خَوْفًا وَطَمَعًا وَيُنْزِلُ مِنَ السَّمَاءِ مَاءً فَيُخْرِجُ بِهِ الْأَرْضَ بَعْدَ مَوْتِهَا ۚ إِنَّ فِي ذَلِكَ لَآيَاتٍ لِقَوْمٍ يَعْقِلُونَ (24) وَمِنْ آيَاتِهِ أَنْ تَقُومَ السَّمَاءُ وَالْأَرْضُ بِأَمْرِهِ ۚ ثُمَّ إِذَا دَعَاكُمْ دَعْوَةً مِنَ الْأَرْضِ إِذَا أَنْتُمْ تَخْرُجُونَ (25) وَلَهُ مَنْ فِي السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضِ ۚ كُلُّ لَهُ قَانُونٌ (26) وَهُوَ الَّذِي يَبْدَأُ الْخَلْقَ ثُمَّ يُعِيدُهُ وَهُوَ أَهْوَنُ عَلَيْهِ }

«მისი სასწაულებიდანაა ისიც, რომ გაგაჩინათ თქვენ მიწისაგან, მერე თქვენ ხართ ადამიანები და იფანტებით (დედამიწაზე).

მისი სასწაულებიდანაა ისიც, რომ თქვენგანვე გააჩინა თქვენი მეუღლენი, რათა იპოვოთ მასში სიმშვიდე, და დაგიდგინათ ერთმანეთში სიყვარული და მოწყალება.

ჭეშმარიტად, ამაში სასწაულებია ხალხისათვის, რომელიც კეთილგანსჯის.

და მისი სასწაულებიდანაა, ცათა და მიწის გაჩენა, ასევე თქვენი ენების და კანისფერის სხვადასხვაობა, ამაშია სასწაულები მცოდნეთათვის

და მისი სასწაულებიდანაა თქვენი ძილი ღამითა თუ დღისით და თქვენგან მისი მადლის ძიებაც. ჭეშმარიტად, ამაში სასწაულებია ხალხისათვის, რომელიც ისმენს.

მისი სასწაულებიდანაა ისიც, რომ გაჩვენებთ იგი ელვას, რომელიც განგაცდევინებთ შიშსა და იმედს, აგრეთვე ის, რომ ზეციდან ავლენს წვიმას, რათა გაცოცხლდეს მისით მკვდარი მიწა. ამაში სასწაულებია გონიერი ხალხისათვის!

მისი სასწაულებიდანაა, რომ დგას ცა და მიწა მისი ბრძანებით, მერე მოგიწოდებთ მოწოდებით მიწიდან და თქვენ გამოხვალთ (საფლავებიდან).

და მას ეკუთვნის, ვინც ცათა შინაა და ვინც ქვეყანასა ზედაა. ყველანი მას ემორჩილება.

რომელიც გააჩენს პირველად და მერე აღადგენს მას. და ეს იოლია მისთვის და მას ეკუთვნის უმაღლესი თვისებები ცათა შინა და ქვეყანასა ზედა და იგი ძლევამოსილი, ბრძენია» [არ-რუუმ: 20-27].

ნამრუდმა უარყო თავისი ღმერთის არსებობა, და უთხრა მას იბრაჰიმმა (მშვიდობა მას), როგორც გვამცნო ალლაჰმა ამასთან დაკავშირებით:

{قَالَ إِبْرَاهِيمُ فَإِنَّ اللَّهَ يَأْتِي بِالشَّمْسِ مِنَ الْمَشْرِقِ فَأْتِ بِهَا مِنَ الْمَغْرِبِ فَبُهِتَ الَّذِي كَفَرَ ۗ وَاللَّهُ لَا يَهْدِي الْقَوْمَ الظَّالِمِينَ}

«იბრაჰიმმა უთხრა: ჭეშმარიტად, ალლაჰს მზე აღმოსავლეთიდან ამოჰყავს, შენ დასავლეთიდან ამოიყვანე! მაშინ, გაოგნდა (ენა ჩაუვარდა), რომელმაც უარყო. და არ დაადგენს ალლაჰი ჭეშმარიტ გზაზე უსამართლო ხალხს!» [ალ-ბაყარა: 258] ასევე, მსგავსად წარუდგინა არგუმენტები იბრაჰიმმა (მშვიდობა მას) თავის ხალხს, რომ ალლაჰია, ვინც მას უჩვენა ჭეშმარიტი გზა, ვინც დააპურა და დაარწყულა ის, როცა ავად იყო მან მისცა ჯანმრთელობა, ის არის ვინც აცოცხლებს და აკვდინებს, მან თქვა,

როგორც გვამცნო მასთან დაკავშირებით ალლაჰმა:

{الَّذِي خَلَقَنِي فَهُوَ يَهْدِينِ (78) وَالَّذِي هُوَ يُطْعِمُنِي وَيَسْقِينِ (79) وَإِذَا مَرِضْتُ فَهُوَ يَشْفِينِ (80) وَالَّذِي يُمِيتُنِي ثُمَّ يُحْيِينِ (81)}

«რომელმაც გამაჩინა, სწორედ იგი დამადგენს ჭეშმარიტ გზაზე. (78)

რომელიც მაჭმევს და მასმევს (79)

და როცა ავად ვხვდები, ის მაჯანსაღებს (80)

რომელიც მომაკვდინებს და მერე გამაცოცხლებს» [აშ-შუ'არაა: 78-81] ალლაჰმა გვამცნო მუსასთან დაკავშირებით (მშვიდობა მას), რომ მან ფარაონს მიმართა შემდეგი სიტყვებით: რომ მისი ღმერთი არის ის:

{الَّذِي أُعْطِيَ كُلَّ شَيْءٍ خَلْقَهُ ثُمَّ هَدَى}

«იგია, რომელმაც მისცა ყველაფერს (შესაფერისი) ქმნილება და შემდეგ დაადგინა სწორ გზაზე» [ტაჰა: 50].

ალლაჰმა ყოველივე რაც არის ზეცაში და დედამიწაზე ადამიანისთვის დაადგინა და უწყალობა მას ყველა წყალობა; რათა ადამიანმა თაყვანი სცეს ალლაჰს და არ უარყოს ის, უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{ أَلَمْ تَرَوْا أَنَّ اللَّهَ سَخَّرَ لَكُمْ مَّا فِي السَّمَاوَاتِ وَمَا فِي الْأَرْضِ وَأَسْبَغَ عَلَيْكُمْ نِعَمَهُ
ظَاهِرَةً وَبَاطِنَةً ۖ وَمِنَ النَّاسِ مَن يُجَادِلُ فِي اللَّهِ بِغَيْرِ عِلْمٍ وَلَا هُدًى وَلَا كِتَابٍ
مُّنِيرٍ }

«განა ვერ ხედავთ, რომ ალლაჰმა დაგიმორჩილათ თქვენ ის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა? და გადმოგაღვარათ თქვენ წყალობა ცხადად თუ ფარულად? მაგრამ ადამიანებს შორის არიან ისეთები, რომლებიც კამათობენ ალლაჰის შესახებ, ცოდნის გარეშე, არც ხელმძღვანელობა აქვთ და არც მანათობელი წიგნი» [ლუყმან: 20] როგორც დაადგინა ალლაჰმა ადამიანისთვის რაც არის ზეცაში და მიწაზე, ასევე მან გააჩინა ადამიანი და უწყალობა მას ყველაფერი რაც მას სჭირდებოდა სმენა, მხედველობა, გონება, რათა მან მიიღოს სასარგებლო ცოდნა, რომელიც დაეხმარება მას იპოვოს თავისი ღმერთი და გამჩენი, უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{ وَاللَّهُ أَخْرَجَكُمْ مِّن بُطُونِ أُمَّهَاتِكُمْ لَا تَعْلَمُونَ شَيْئًا وَجَعَلَ لَكُمُ السَّمْعَ وَالْأَبْصَارَ
وَالْأَفْئِدَةَ ۖ لَعَلَّكُمْ تَشْكُرُونَ }

«ალლაჰმა გამოგიყვანათ თქვენ დედათა მუცლებიდან მაშინ, როცა არაფერი

გაგეგებოდათ, მან კი მოგცათ სმენა, თვალები და გულნი, რათა ეგების მადლიერნი ყოფილიყავით» [ან-ნაჰლ: 78]

უზენაესმა და ყოვლადუნაკლო ალლაჰმა გააჩინა ყველა ეს სამყარო, ასევე გააჩინა ადამიანი და მოუმზადა მას ყველაფერი რაც სჭირდებოდა: ორგანოები და ძალა, შემდეგ შეეწია მას ყველაფრით, რაც დაეხმარებოდა მას რომ შეეასრულოს ღვთისმსახურება და წარმართოს ცხოვრება დედამიწაზე, შემდეგ დაუდგინა და დაუმორჩილა მას ყველაფერი, რაც არის ზეცაში და მიწაზე.

ალლაჰმა თავის ქმნილებებს მტკიცებულებად შეახსენა თავის უდიდესი ქმნილებები, რომ ის არის ერთადერთი ღვთაება და გამჩენი, შესაბამისად მისი ღვთაებრიობა მოითხოვს, რომ მას სცენ თაყვანი მისმა გაჩენილებმა, უზენაესი და ყოვლადუნაკლო ალლაჰი ბრძანებს:

{قُلْ مَنْ يَرْزُقُكُمْ مِنَ السَّمَاءِ وَالْأَرْضِ أَمْ يَمْلِكُ السَّمْعَ وَالْأَبْصَارَ وَمَنْ يُخْرِجُ الْحَيَّ مِنَ الْمَيِّتِ وَيُخْرِجُ الْمَيِّتَ مِنَ الْحَيِّ وَمَنْ يُدَبِّرُ الْأُمْرَ فَسَيَقُولُونَ اللَّهُ فَقُلْ أَفَلَا تَتَّقُونَ }

«უთხარი: ვინ გაძლევთ თქვენ სარჩოს ციდან და მიწიდან? ან ვინ ფლობს სმენასა და თვალთახედვას?! ვის გამოჰყავს ცოცხალი მკვდრისაგან და ვის გამოჰყავს მკვდარი ცოცხალისაგან?! ვინ განაგებს საქმეებს?! იტყვიან: ალლაჰი. და უთხარი: განა არ გეშინიათ?!» [იუნუს: 31] და თქვა უწმინდესმა:

{قُلْ أَرَأَيْتُمْ مَا تَدْعُونَ مِنْ دُونِ اللَّهِ أُرُونِي مَاذَا خَلَقُوا مِنَ الْأَرْضِ أَمْ لَهُمْ شِرْكٌ فِي السَّمَاوَاتِ ائْتُونِي بِكِتَابٍ مِنْ قَبْلِ هَذَا أَوْ أَثَارَةٍ مِنْ عِلْمٍ إِنْ كُنْتُمْ صَادِقِينَ}

«უთხარი: განა გიფიქრიათ, რას ეთაყვანებით, ალლაჰის მაგივრად? მიჩვენეთ, მიწის რა ნაწილი გააჩინეს მათ, ანდა იქნებ მათ წილი უდევთ ცათა შექმნაში? მომიტანეთ ერთი წიგნი მაინც უწინდელი ამისა(ყურანი), ანდა ცოდნის ნაკვალევი მაინც, თუკი მართალნი ხართ» [ალ-აჰკაფ: 4] უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{ خَلَقَ السَّمَاوَاتِ بَعِيرٍ عَمَدٍ تَرْوَاهَا وَالْقُلُوبِ فِي الْأَرْضِ رَوَاسِي أَنْ تَمِيدَ بِكُمْ وَبَثَّ فِيهَا مِنْ كُلِّ دَابَّةٍ وَأَنْزَلْنَا مِنَ السَّمَاءِ مَاءً فَأَنْبَتْنَا فِيهَا مِنْ كُلِّ رَوْحٍ كَرِيمٍ. هَذَا خَلْقُ اللَّهِ فَأُرُونِي مَاذَا خَلَقَ الَّذِينَ مِنْ دُونِهِ بَلِ الظَّالِمُونَ فِي ضَلَالٍ مُبِينٍ }

«გააჩინა ცანი, როგორც ხედავთ, საყრდენების გარეშე და დაადგინა მიწაზე

უზარმაზარი მთები, რომ არ შერყეულიყავით. გაამრავლა და დაასახლა მასზე ყოველნაირი ცხოველი. და გარდმოვავლინეთ ზეციდან წყალი და აღმოვაცენეთ მისით ყველა სახეობის სასარგებლო მცენარეები! 11. აი, ესენია ალლაჰის გაჩენილი! მაშ, დამანახეთ რა გააჩინეს დანარჩენებმა. არა, უსამართლონი ცხად გზააბნევაში არიან!» [ლუყმან: 10-11]. და თქვა ჭეშმარიტმა უწმინდესმა(ალლაჰმა):

{ أَمْ خُلِقُوا مِنْ غَيْرِ شَيْءٍ أَمْ هُمُ الْخَالِقُونَ (35) أَمْ خُلِقُوا مِنَ الْأَرْضِ وَالْأَرْضُ مِنْ لَدُنْهُمْ أَمْ هُمُ الْمُصْطَبِرُونَ (37) }

«განა ისინი არიან შექმნილნი არაფრისგან, თუ თვითონ არიან შემოქმედნი? (35)

თუ მათ შექმნეს ცანი და მიწა, პირიქით არ ირწმუნებენ (36)

ნუთუ მათთანაა შენი ღმერთის საუნჯენი? ან განა ისინი არიან ხელმწიფენი?» (37) [ატ-ტურ: 35-37]. თქვა შეიხ ას-სა'დიმ (ალლაჰმა შეიწყალოს ის): «ეს არის არგუმენტი მათ წინააღმდეგ ისეთ საკითხზე, რომლის მიმართ ისინი იძულებულნი არიან ან მიიღონ ჭეშმარიტება, ან უარი თქვან გონებისა და

რელიგიის მოთხოვნებზე». იბნ სა'დის
თავსირი: 816.

7. ალლაჰი დიდებული არის შემქმნელი
ყოველი იმის, რაც არის ამ სამყაროში, რასაც
ჩვენ ვხედავთ და რასაც ვერ ვხედავთ. და
რაც არის მის გარდა ყველა ქმნილება მისი
შექმნილია, ალლაჰმა გააჩინა ცანი და
დედამიწა ექვს დღეში.

ალლაჰი დიდებული არის შემქმნელი
ყოველი იმის, რაც არის ამ სამყაროში, რასაც ჩვენ
ვხედავთ და რასაც ვერ ვხედავთ. და რაც არის
მის გარდა ყველა ქმნილება მისი შექმნილია,
უზენაესი ალლაჰი ამბობს:

قُلْ مَنْ رَبُّ السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضِ قُلِ اللَّهُ ۖ قُلْ أَفَاتَّخَذْتُمْ مِنْ دُونِهِ أَوْلِيَاءَ لَا يَمْلِكُونَ
لِأَنْفُسِهِمْ نَفْعًا وَلَا ضَرًّا ۚ قُلْ هَلْ يَسْتَوِي الْأَعْمَىٰ وَالْبَصِيرُ أَمْ هَلْ تَسْتَوِي الظُّلُمَاتُ
وَالنُّورُ ۚ أَمْ جَعَلُوا لِلَّهِ شُرَكَاءَ خَلَقُوا كَخَلْقِهِ فَتَشَابَهَ الْخَلْقُ عَلَيْهِمْ ۚ قُلِ اللَّهُ خَالِقُ
كُلِّ شَيْءٍ وَهُوَ الْوَاحِدُ الْقَهَّارُ {

«ჰკითხე: „ვინ არის ღმერთი ცათა და მიწის?“
უპასუხე: „ალლაჰია!“ უთხარი: განა დაიდგინეთ
მის გარდა მფარველები, რომელთაც არ
შეუძლიათ არგონ ან ავნონ საკუთარ თავსაც კი?“
უთხარი: „განა, თანასწორია ბრმა და მხედველი,

ან წყვდიადი და ნათელი? განა დაუდგინეს მათ
ალლაჰს თანაზიარნი, რომლებმაც ალლაჰის
გაჩენის მსგავსად გააჩინეს რაიმე, და ეს გაჩენა
მათ მსგავსი მოეჩვენათ? უთხარი:

"ალლაჰია გამჩენი ყოველივესი, და იგია
ერთადერთი, ძლევამოსილი!" [ალ-რა'დ: 16].
ასევე თქვა უზენაესმა ალლაჰმა:

{وَيَخْلُقُ مَا لَا تَعْلَمُونَ}

«და ქმნის იმას, რაც თქვენ არ იცით» [ან-
ნაჰლ: 8].

გააჩინა ცანი და მიწა ექვს დღეში, უზენაესმა
ლლაჰმა თქვა:

{هُوَ الَّذِي خَلَقَ السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضَ فِي سِتَّةِ أَيَّامٍ ثُمَّ اسْتَوَىٰ عَلَى الْعَرْشِ ۚ يَعْلَمُ
مَا يَلْجُ فِي الْأَرْضِ وَمَا يَخْرُجُ مِنْهَا وَمَا يَنْزِلُ مِنَ السَّمَاءِ وَمَا يَعْرُجُ فِيهَا ۚ وَهُوَ
مَعَكُمْ أَيْنَ مَا كُنْتُمْ ۚ وَاللَّهُ بِمَا تَعْمَلُونَ بَصِيرٌ }

«იგია, რომელმაც გააჩინა ცანი და ქვეყანა
ექვს დღეში, მერე ამაღლდა 'არშზე, იცის, რაც
შედის მიწაში და რაც მისგან ამოდის, რაც
გარდმოედინება ზეციდან და რაც მაღლდება
მასში და იგი თქვენთანაა, სადაც უნდა იყოთ და
ხედავს, რასაც

აკეთებთ» [ალ-ჰადიიდ: 4]. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{وَلَقَدْ خَلَقْنَا السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضَ وَمَا بَيْنَهُمَا فِي سِتَّةِ أَيَّامٍ وَمَا مَسَّنَا مِنْ لُغُوبٍ}

«ჩვენ გავაჩინეთ ცანი, მიწა, და რაც მათ შორისაა ექვს დღეში და არ შეგვხებია დაღლა» [ყაფ: 38].

8. ყოვლადწმიდა და დიდებულ ალლაჰს არ ჰყავს თანამონაწილე არც მეფობაში, არც შექმნაში, არც მმართველობაში და არც თაყვანისცემაში.

ყოვლადწმიდა და დიდებულ ალლაჰი - იგია ყველაფრის მფლობელი, არ ჰყავს თანამონაწილე არც შექმნაში, არც მეფობაში, არც მმართველობაში. უზენაესი ამბობს:

{قُلْ أَرَأَيْتُمْ مَا تَدْعُونَ مِنْ دُونِ اللَّهِ أَرُونِي مَاذَا خَلَقُوا مِنَ الْأَرْضِ أَمْ لَهُمْ شِرْكٌ فِي السَّمَاوَاتِ ۚ إِنَّنِي بَكْتَابٍ مِنْ قَبْلِ هَذَا أَوْ أَنَارَةٍ مِنْ عَلَمٍ إِنْ كُنْتُمْ صَادِقِينَ}

«უთხარი: განა გიფიქრიათ, რას ეთაყვანებით, ალლაჰის მაგივრად? მიჩვენეთ, მიწის რა ნაწილი გააჩინეს მათ, ანდა იქნებ მათ წილი უდევთ ცათა შექმნაში? მომიტანეთ ერთი წიგნი მაინც უწინდელი ამისა(ყურანი), ანდა

ცოდნის ნაკვალევი მაინც, თუკი მართალნი ხართ» [ალ-აჰყაფ: 4] თქვა შეიხ ას-სა'დიმ (აღლაჰმა შეიწყალოს ის): "ანუ: {უთხარი} იმათ, რომელთაც დაუდგინეს თანამოზიარე აღლაჰს: კერპები და ცრუ ღვთაებები, არ ფლობენ ისინი არც სიკეთეს, არც ზარალს, არც სიკვდილს, არც სიცოცხლეს და არც მეორედ აღდგენას. უთხარი მათ: განუმარტე მათი კერპების სისუსტე, რომ ისინი არ იმსახურებენ არავითარ ღვთისმსახურებას: {მაჩვენეთ რა გააჩინეს მათ მიწაზე? ან მათ ჰყავთ მოზიარენი ზეცაში?} ნუთუ გააჩინეს მათ მიწაზე ან ზეციური სხეულებიდან რაიმე? მათ გააჩინეს მთები? ისინი მოადინებენ მდინარეებს? მათ გაამრავლეს ცხოველები? მათ აღმოაცენეს ხეები? ან მათგან რომელიმემ შეიტანა რაიმე წვლილი მათ გაჩენაში? მსგავსი არაფერი ყოფილა, რაც დაამოწმეს საკუთარი თავის წინაშე და ასევე სხვებმაც, ეს არის მტკიცე ლოგიკური არგუმენტი იმაზე, რომ ვინც არის

აღლაჰის გარდა სხვა, მათზე თაყვანისცემა არის მიუღებელი».

შემდეგ ახსენა, რომ «არ არსებობს არავითარი გადმოცემული არგუმენტი, და თქვა: {მაშ, მომიტანეთ წიგნი ადრინდელი ამასთან დაკავშირებით} წიგნი, რომელიც შირქისკენ (თანაზიარისკენ) მოუწოდებს. {ან მაჩვენეთ რაიმე ცოდნის ნაკვალევი}, რომელიც იქნება გადმოცემული შუამავალთაგან და ბრძანებს ამას (შირქს). ცნობილია, რომ მათ არ შეუძლიათ მოიტანონ რომელიმე შუამავალისგან რაიმე არგუმენტი რომელიც მიუთითებს ამაზე, პირიქით ვადასტურებთ და ვამტკიცებთ, რომ ყველა შუამავალი მოუწოდებდა ერთდმერთიანობისკენ მათი ღმერთის ერთობისკენ, და კრძალავდნენ შირქს, მრავალღმერთიანობას, ეს არის ყველაზე მკაფიო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც მოვიდა მათთან». იბნ სა'დის თაფსირი: 779.

ყოვლადწმიდა და დიდებული აღლაჰი - იგია ყველაფრის მფლობელი, არ ჰყავს

თანამონაწილე არც მფლობელობაში და არც მეფობაში, უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{ قُلِ اللَّهُمَّ مَالِكَ الْمُلْكِ تُؤْتِي الْمُلْكَ مَنْ تَشَاءُ وَتَنْزِعُ الْمُلْكَ مِمَّنْ تَشَاءُ وَتُعِزُّ مَنْ تَشَاءُ وَتُذِلُّ مَنْ تَشَاءُ ۚ إِنَّكَ عَلَىٰ كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ }

«თქვი: ღმერთო ჩემო, მეუფეო სამეფოსი. აძლევ მეფობას, ვისაც ინებებ, და ართმევ მას, ვისაც ინებებ, და აამაღლებ, ვისაც ინებებ, და დაამდაბლებ, ვისაც ინებებ; შენს ხელთაა კეთილდღეობა, ჭეშმარიტად, შენ ყოვლისშემძლე ხარ!» [ალი იმრან: 26] უზენაესი ალლაჰი ნათლად ამბობს, რომ განკითხვის დღეს მეუფება აბსოლუტურად მხოლოდ მას ეკუთვნის:

{ يَوْمَ هُمْ بَارِزُونَ ۚ لَا يَخْفَىٰ عَلَى اللَّهِ مِنْهُمْ شَيْءٌ ۚ لِمَنِ الْمُلْكُ الْيَوْمَ ۖ لِلَّهِ الْوَاحِدِ الْقَهَّارِ }

«იმ დღეს, როცა ისინი აღდგებიან, არაფერი დაიმალება ალლაჰის წინაშე. ვისია დღეს მეუფება? ალლაჰის, ერთადერთის, ძლევამოსილის». [ლაფირ: 16].

ყოვლადწმიდა და დიდებულ ალლაჰს არ ჰყავს თანამონაწილე არც მეფობაში, არც

შექმნაში, არც მმართველობაში და არც
თაყვანისცემაში. უზენაესი ბრძანებს:

{ وَقُلِ الْحَمْدُ لِلَّهِ الَّذِي لَمْ يَتَّخِذْ وَلَدًا وَلَمْ يَكُنْ لَهُ شَرِيكٌ فِي الْمُلْكِ وَلَمْ يَكُنْ لَهُ وَلِيٌّ
مِّنَ الدِّينِ ۚ وَكَبِّرْهُ تَكْبِيرًا }

«უთხარი: დიდება ალლაჰს, ვისაც მე არ
დაუდგენია, და არც ყოლია თანაზიარი
ხელმწიფებაში, არ არს მისდა უმწეობა და არც
სჭირდება შემწე. და თაქბირით (ალლაჰუ აქბარ)
განადიდე იგი». [ალ-ისრა: 111]. უზენაესი
ალლაჰი ბრძანებს:

{ الَّذِي لَهُ مُلْكُ السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضِ وَلَمْ يَتَّخِذْ وَلَدًا وَلَمْ يَكُنْ لَهُ شَرِيكٌ فِي الْمُلْكِ
وَخَلَقَ كُلَّ شَيْءٍ فَقَدَرَهُ تَقْدِيرًا }

«იგია, რომელსაც ეკუთვნის მეუფება ცათა და
ქვეყნისა. მას არ ჰყავს მე და არ ჰყოლია მოზიარე
მეუფებაში. შექმნა ყოველი საგანი და რიგიანად
გადაანაწილა». [ალ-ფურყან: 2]. ის არის
მფლობელი, ხოლო მის გარდა ყველაფერი მას
ეკუთვნის, ყოვლადუნაკლოა ის. ის არის
შემქმნელი, ხოლო მის გარდა ყველაფერი მისი
შექმნილია. ის არის ის, ვინც განაგებს საქმეს.
ვისაც ეს თვისებები აქვს, მისთვის თაყვანისცემა
აუცილებელია, ხოლო სხვა ვინმეს თაყვანისცემა

არის გონების ნაკლებობა და შირქი, რომელიც აფუჭებს როგორც ამ ქვეყანას, ისე აახირეთს. უზენაესმა ალლაჰმა თქვა:

{ وَقَالُوا كُونُوا هُودًا أَوْ نَصَارَى تَهْتَدُوا ۖ قُلْ بَلْ مِلَّةَ إِبْرَاهِيمَ حَنِيفًا ۖ وَمَا كَانَ مِنَ الْمُشْرِكِينَ }

«და თქვეს: იყავით იუდეველნი ან ქრისტიანნი, რომ დაადგეთ ჭეშმარიტებას. უთხარი: პირიქით! იბრაჰიმის, ჰანიფის რწმენისა! და ის არ ყოფილა წარმართთაგანი». [ალ-ბაყარა: 135]. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{ وَمَنْ أَحْسَنُ دِينًا مِمَّنْ أَسْلَمَ وَجْهَهُ لِلَّهِ وَهُوَ مُحْسِنٌ وَاتَّبَعَ مِلَّةَ إِبْرَاهِيمَ حَنِيفًا ۖ وَاتَّخَذَ اللَّهُ إِبْرَاهِيمَ خَلِيلًا }

«და ვინ არის სარწმუნოებით იმაზე მშვენიერი, ვინც თავისი სახე დაუმორჩილა ალლაჰს, კეთილია და მიჰყვება ჰანიფი(მონოთეიზმი) იბრაჰიმის რელიგიას. და ალლაჰმა აირჩია იბრაჰიმი თავის მეგობრად». [ან-ნისა: 125] ყოვლადწმინდა და უზენაესმა ალლაჰმა განმარტა, რომ ის ვინც გაჰყვება სხვას იბრაჰიმის სარწმუნოების გარდა (მშვიდობა მას), ის არის უგუნური საკუთარი თავის მიმართ, უზენაესი ალლაჰი ამბობს: «და ვინ

შეაქცევს სახეს იბრაჰიმის რჯულს, სულწაწყმედილის გარდა?! ვფიცავ, ჩვენ ავირჩიეთ იგი ამქვეყნად და, საიქიოში მართალთა შორის იქნება!» [ალ-ბაყარა: 130].

9. ყოვლადწმიდა და დიდებული ალლაჰი არ დაბადებულა და არც დაუბადია, და არ არის არავინ ბადალი და მსგავსი მისი.

ყოვლადწმიდა და დიდებული ალლაჰი არ დაბადებულა და არც დაუბადია, და არ არის არავინ ბადალი და მსგავსი მისი. უზენაესი ბრძანებს:

{قُلْ هُوَ اللَّهُ أَحَدٌ (1) اللَّهُ الصَّمَدُ (2) لَمْ يَلِدْ وَلَمْ يُولَدْ (3) وَلَمْ يَكُنْ لَهُ كُفُوًا أَحَدٌ} (4)

«თქვი: იგია, ალლაჰი ერთადერთი!

ალლაჰი "სამედია" (თვითკმარი)

არ შობილა და არც უშვია

და არც არავინ ყოფილა ბადალი მისი!» [ალ-იხლას: 1-4]. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{رَبُّ السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضِ وَمَا بَيْنَهُمَا فَاعْبُدْهُ وَاصْطَبِرْ لِعِبَادَتِهِ ۖ هَلْ تَعْلَمُ لَهُ سَمِيًّا}

«იგია ღმერთი ცათა და ქვეყნისა და იმის, რაც ამათ შორისაა. თაყვანი ეცი მას და იყავი

მომთმენი მის თაყვანისცემაში. განა იცი ვინმე მისი თანამოსახელე?» [მარიამ: 65]. და თქვა ჭეშმარიტმა დიდებულმა:

{فَاطِرُ السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضِ ۚ جَعَلَ لَكُمْ مِنْ أَنْفُسِكُمْ أَزْوَاجًا وَمِنَ الْأَنْعَامِ أَزْوَاجًا ۚ يَذَرُكُمْ فِيهِ ۚ لَيْسَ كَمِثْلِهِ شَيْءٌ ۚ وَهُوَ السَّمِيعُ الْبَصِيرُ}

«იგია შემოქმედი ცათა და ქვეყნისა. დაადგინა თქვენთვის მეუღლენი თქვენი სულიდანვე, და ასევე საქონელი წყვილებად, ის გამრავლებთ თქვენ იქ. არაფერია მისი მსგავსი. და იგია ყოვლისგამგონი, ყოვლისმხედველი». [ამ-შურაა: 11].

10. ყოვლადწმიდა და დიდებული ალლაჰი არ ჩნდება არაფერში, და არ იღებს სახეს რაიმეში თავისი ქმნილებებიდან.

ყოვლადწმიდა და დიდებული ალლაჰი არ ჩნდება არაფერში, და არ იღებს სახეს რაიმეში თავისი ქმნილებებიდან და არ ერთიანდება არაფერში; ეს იმიტომ, რომ ჭეშმარიტად ალლაჰია გამჩენი და მის გარდა ყველაფერი არის გაჩენილი, ის არის მარადიული მის გარდა კი ყველაფერს აქვს დასასრული, ყოველივე არის

მის მეუფებაში, იგია ყველაფრის მფლობელი. ალლაჰი არ გამოისახება მისი ქმნილებებიდან არაფერში და ვერავინ და ვერაფერი გამოისახება მისი ქმნილებებიდან ალლაჰში, ალლაჰია ყოვლადწმინდა და უზენაესი, ის ყველაფერზე დიდი და დიდებულია, უზენაესი ალლაჰი მათი გაკიცხვით ამბობს, ვინც ფიქრობს, რომ ალლაჰი ისაში (ქრისტეში, მესიაში) გამოისახა:

﴿لَقَدْ كَفَرَ الَّذِينَ قَالُوا إِنَّ اللَّهَ هُوَ الْمَسِيحُ ابْنُ مَرْيَمَ ۚ قُلْ فَمَنْ يَمْلِكُ مِنَ اللَّهِ شَيْئًا إِنْ أَرَادَ أَنْ يُهْلِكَ الْمَسِيحَ ابْنَ مَرْيَمَ وَأُمَّهُ وَفِي الْأَرْضِ جَمِيعًا ۖ وَلِلَّهِ مُلْكُ السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضِ وَمَا بَيْنَهُمَا ۚ يَخْلُقُ مَا يَشَاءُ ۚ وَاللَّهُ عَلَىٰ كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ﴾

«ვფიცავ! ურწმუნონი არიან რომლებიც ამბობენ: ალლაჰია მესიჰი მარიამის შვილიო. უთხარი მათ: ვინ დააბრკოლებდა ალლაჰს, თუკი ინებებდა, მესიჰის, მარიამის შვილის, დედამისის და ან სულ ყველას განადგურებას ქვეყანაზე? ალლაჰისაა ცათა და ქვეყნის მეუფება და იმის, რაც ამათ შორისაა. გააჩენს, რასაც

ინებებს, და ალლაჰი ყოვლისშემძლეა». [ალ-მაიდა: 17]. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

﴿وَاللَّهُ الْمَشْرِقُ وَالْمَغْرِبُ ۚ فَأَيْنَمَا تُولُوا فَتَمَّ وَجْهَ اللَّهِ ۚ إِنَّ اللَّهَ وَاسِعٌ عَلِيمٌ (115) وَقَالُوا اتَّخَذَ اللَّهُ وَلَدًا ۚ سُبْحَانَهُ ۚ بَلْ لَهُ مَا فِي السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضِ ۚ كُلُّ لَّهُ قَانُونٌ

(116) بَدِيعُ السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضِ ۖ وَإِذَا قَضَىٰ أَمْرًا فَإِنَّمَا يَقُولُ لَهُ كُنْ فَيَكُونُ
{ (117)

«ალლაჰისაა აღმოსავლეთიც და დასავლეთიც და საითაც არ უნდა მიბრუნდეთ მისი სახეა. ჭეშმარიტად, ალლაჰი ყოვლისმომცველი, ყოვლისმცოდნეა».

და თქვეს: ალლაჰმა მე აირჩიაო (აიყვანაო). დიდება მას! მისია რაც ცაშია და ქვეყანაზე! ყოველივე მას ემორჩილება!

იგია ცათა და ქვეყნის გამჩენი და თუ რამ განიზრახა, საკმარისია უთხრას მას: იყავ- და იქნება!» [ალ-ბაყარა: 115-117]. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{ وَقَالُوا اتَّخَذَ الرَّحْمَنُ وَلَدًا (88) لَقَدْ جِئْتُمْ شَيْئًا إِدًّا (89) تَكَادُ السَّمَاوَاتُ يَتَفَطَّرْنَ مِنْهُ وَتَنْشَقُّ الْأَرْضُ وَتَخِرُّ الْجِبَالُ هَدًّا (90) أَنْ دَعَوْا لِلرَّحْمَنِ وَلَدًا (91) وَمَا يَنْبَغِي لِلرَّحْمَنِ أَنْ يَتَّخِذَ وَلَدًا (92) إِنْ كُلُّ مَنْ فِي السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضِ إِلَّا آتِي الرَّحْمَنِ عَبْدًا (93) لَقَدْ أَحْصَاهُمْ وَعَدَّهُمْ عَدًّا (94) وَكُلُّهُمْ آتِيهِ يَوْمَ الْقِيَامَةِ فَرْدًا { (95)

«და თქვეს: მოწყალემ(ალლაჰმა) შვილი დაიდგინაო!

ვფიცავ, საშინელი რაღაც თქვით

ლამის ცანი გაიპონ ამისაგან, მიწა დასკდეს და მთელი განადგურდეს

რომ მიაწერეს მოწყალეს ძე!

და არ შეეფერება მოწყალეს, რომ შვილი დაიდგინოს!

ყოველი, ვინც ცათა შინაა და ქვეყანასა ზედაა, მოწყალის წინაშე წარსდგება როგორც მსახური ('აბდ)

ვფიცავ, მან აღრიცხა ისინი და დათვალა დათვლით

და ყოველი მათგანი მოვა აღდგომის დღეს მარტო» [მარიამ: 88-95]. თქვა დიდებულმა:

{ اَللّٰهُ لَا اِلٰهَ اِلَّا هُوَ الْحَيُّ الْقَيُّوْمُ لَا تَاْخُذُهٗ سِنَةٌ وَّلَا نَوْمٌ لَّهٗ مَا فِي السَّمٰوٰتِ وَمَا فِي الْاَرْضِ مَن ذَا الَّذِي يَشْفَعُ عِنْدَهٗ اِلَّا بِاِذْنِهٖ يَعْلَمُ مَا بَيْنَ اَيْدِيهِمْ وَمَا خَلْفَهُمْ وَلَا يُحِيطُوْنَ بِشَيْءٍ مِّنْ عِلْمِهٖ اِلَّا بِمَا شَاءَ وَسِعَ كُرْسِيُّهٗ السَّمٰوٰتِ وَالْاَرْضَ وَلَا يَـُٔودُهٗ حِفْظُهُمَا وَهُوَ الْعَلِيُّ الْعَظِيْمُ }

«არ არის ღვთაება, ალლაჰის, უკვდავის, მარადისის გარდა, თვლელმა არ ეუფლება მას და არც ძილი. მისია, რაც ცაშია და რაც ქვეყანაზე, და მის წინაშე არავის შეუძლია იშუამდგომლოს, თუ არა მისი ნება. მან იცის, რაც მათ უწინაა და რაც მათ შემდგომია. ისინი კი მის ცოდნისგან მხოლოდ იმას გასწვდებიან, რასაც ინებებს. ტახტი მისი გარემოიცავს ცათა და ქვეყანას და

მათი დაცვა არ უმძიმს მას. და იგი უზენაესი, დიდებულია». [ალ-ბაყარა: 255]. თუ ასეთი განსხვავებაა შემოქმედსა და ქმნილებებს შორის, როგორ შეიძლება, რომ იგი განხორციელდეს რომელიმე მათგანში? ან აიყვანოს მათგან ვინმე თავის შვილად, ან კიდევ ერთ ღმერთად თავის გვერდით?

11. ყოვლადწმიდა და დიდებული ღმერთი მოწყალეა თავისი მონების მიმართ, ამიტომაც გამოგზავნა მან შუამავლები და გარდმოავლინა ღვთიური წიგნები.

ყოვლადწმიდა და დიდებული ღმერთი მოწყალეა თავისი მონების მიმართ, ამიტომაც გამოგზავნა მან შუამავლები და გარდმოავლინა მათთვის ღვთიური წიგნები; რათა გამოეყვანა ისინი ურწმუნოების და მრავალღმერთიანობის წყვდიადიდან, ერთღმერთიანობის და ჭეშმარიტი გზის სინათლეზე. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{هُوَ الَّذِي يُنَزِّلُ عَلَىٰ عَبْدِهِ آيَاتٍ بَيِّنَاتٍ لِّيُخْرِجَكُم مِّنَ الظُّلُمَاتِ إِلَى النُّورِ ۚ وَإِنَّ اللَّهَ بِكُمْ لَرَءُوفٌ رَّحِيمٌ}

«იგია, ვინც ზეგარდმოავლენს თავის მსახურზე ცხად აიათებს, რათა გამოგიყვანოთ სიბნელიდან სინათლეზე და, ჭეშმარიტად, ალლაჰი თქვენდამი შემწყნარებელი, მწყალობელია». [ალ-ჰადიიდ: 9].

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{ وَمَا أَرْسَلْنَاكَ إِلَّا رَحْمَةً لِّلْعَالَمِينَ }

«და არ წარგვიგზავნიხარ შენ თუ არა წყალობად სამყაროთა» [ალ-ანბია: 107]. ალლაჰმა უბრძანა თავის მოციქულს, რომ ეცნოებინა მსახურთათვის, რომ ალლაჰი მიმტევებელია, მწყალობელია. უზენაესი ამბობს:

{ نَبِّئْ عِبَادِي أَنِّي أَنَا الْغَفُورُ الرَّحِيمُ }

«აცნობე ჩემს მსახურებს, რომ მე, ჭეშმარიტად, მიმტევებელი, შემწყალებელი ვარ» [ალ-ჰიჯრ: 49] მისი მადლით და წყალობით ის გააქრობს სირთულეს და გადმოავლენს სიკეთეს თავის მსახურებზე. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{ وَإِن يَمْسَسْكَ اللَّهُ بِضُرٍّ فَلَا كَاشِفَ لَهُ إِلَّا هُوَ ۚ وَإِن يُرِدْكَ بِخَيْرٍ فَلَا رَادَّ لِفَضْلِهِ ۚ يُصِيبُ بِهِ مَن يَشَاءُ مِنْ عِبَادِهِ ۚ وَهُوَ الْغَفُورُ الرَّحِيمُ }

«და თუ მოგივლინა ალლაჰმა ზიანი, არავინაა მისი ამშორებელი მის გარდა. ხოლო თუ შენთვის სიკეთე ისურვა, ვერავინ შეაკავებს მის მადლს. იგი მოუვლენს მას იმას, ვისაც ინებებს თავის მსახურთაგან. და იგი შემწყნარებელი, მწყალობელია». [იუნუს: 107].

12. ალლაჰი არის უფალი, მოწყალე და ის ერთადერთია, ვინც განსჯის ქმნილებებს აღდგომის დღეს, როცა ყველას მათი საფლავებიდან აღადგენს, და მიუზღვის თითოეულ მათგანს, იმისთვის რაც გააკეთეს, სიკეთე იქნება თუ ბოროტება, ვინც აკეთა კეთილი საქმეები ის არის მორწმუნე, მას ექნება მარადიული წყალობა, ხოლო ვინც უარყო და აკეთა ცუდი ქმედებები მას ექნება მტანჯველი სასჯელი იმქვეყნად.

ალლაჰი არის უფალი, მოწყალე და ის ერთადერთია, ვინც განსჯის ქმნილებებს აღდგომის დღეს, როცა ყველას მათი საფლავებიდან აღადგენს, და მიუზღვის

თითოეულ მათგანს, იმისთვის რაც გააკეთეს, სიკეთე იქნება თუ ბოროტება, ვინც აკეთა კეთილი საქმეები ის არის მორწმუნე, მას ექნება მარადიული წყალობა, ხოლო ვინც უარყო და აკეთა ცუდი ქმედებები მას ექნება მტანჯველი სასჯელი აღდომის დღეს. უზენაესი და ყოვლადუნაკლო ალლაჰის აბსოლუტური სამართლიანობიდან, წყალობიდან და სიბრძნიდან გამომდინარეობს თავის ქმნილებათა მიმართ ის, რომ მან დაადგინა ეს ქვეყანა ქმედებებისთვის, ხოლო ის ქვეყანა დაადგინა, რათა იყოს მასში ანგარიშსწორება სასჯელი და ჯილდო; რათ კეთილისმქნელმა მიიღოს თავის სიკეთის საფასური, ხოლო ბოროტმოქმედმა, უსამართლომ და ზღვარგადასულმა მიიღოს თავისი ზღვარგადასულობის და უსამართლობის სასჯელი; მაგრამ ზოგიერთ ადამიანს ეს ყველაფერი წარმოუდგენალად მიაჩნია, ჭეშარიტად ალლაჰმა მოიტანა მრავალი არგუმენტი, რომელიც მიუთითებს რომ

ხელმეორედ აღსდგენა არის ჭეშმარიტება და მასში არავითარი ეჭვი არ არსებობს: უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{وَمِنْ آيَاتِهِ أَنَّكَ تَرَى الْأَرْضَ خَاشِعَةً فَإِذَا أَنْزَلْنَا عَلَيْهَا الْمَاءَ اهْتَزَّتْ وَرَبَتْ ۚ إِنَّ الَّذِي أَحْيَاهَا لَمُحْيِي الْمَوْتِ ۚ إِنَّهُ عَلَىٰ كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ }

«და მისი სასწაულებიდანაა, რომ ხედავ გამოძმარ მიწას. და როცა ზეგარდმოვავლენთ მასზე წყალს, მოძრაობას იწყებს და ფუვდება. ვინც იგი გააცოცხლა, მკვდართა გამაცოცხლებელია. ჭეშმარიტად, იგი ყოვლისშემძლეა». [ფუსსილათ: 39]. უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა:

{يَا أَيُّهَا النَّاسُ إِنْ كُنْتُمْ فِي رَيْبٍ مِّنَ الْبَعْثِ فَإِنَّا خَلَقْنَاكُمْ مِّن نُّرَابٍ ثُمَّ مِّنْ نُطْفَةٍ ثُمَّ مِّنْ عَلَقَةٍ ثُمَّ مِّنْ مُّضْغَةٍ مُّخَلَّقَةٍ وَغَيْرِ مُخَلَّقَةٍ لِّنُبَيِّنَ لَكُمْ ۚ وَنُقَرُّ فِي الْأَرْحَامِ مَا نَشَاءُ إِلَىٰ أَجَلٍ مُّسَمًّى ثُمَّ نُخْرِجُكُمْ طِفْلًا ثُمَّ لِتَبْلُغُوا أَشُدَّكُمْ ۚ وَمِنْكُمْ مَّنْ يَّتَوَفَّىٰ وَمِنْكُمْ مَّنْ يُّرَدُّ إِلَىٰ أَرْدَلِ الْعُمُرِ لِكَيْلَا يَعْلَمَ مِن بَعْدِ عِلْمٍ شَيْئًا ۚ وَتَرَى الْأَرْضَ هَامِدَةً فَإِذَا أَنْزَلْنَا عَلَيْهَا الْمَاءَ اهْتَزَّتْ وَرَبَتْ وَأَنْبَتَتْ مِن كُلِّ زَوْجٍ بَهِيجٍ }

«ჰეი, ხალხო! თუ ეჭვი გეპარებათ აღდგომის თაობაზე, ჭეშმარიტად, ჩვენ გაგაჩინეთ თქვენ მიწისაგან, მერე წვეთისგან, მერე სისხლის კოლტისგან, ხორცის ნაჭრის ჩამოუყალიბებელისა თუ ჩამოყალიბებულისაგან. რათა განვმარტოთ

თქვენთვის(ჭეშმარიტება): ჩვენ ვათავსებთ საშვილოსნოში იმას, რასაც ვინებებთ, განსაზღვრულ ვადამდე. მერე გამოგვყავხართ იქიდან ჩვილებად, მერე აღწევთ სრულწლოვანებას. ზოგი თქვენგანი გარდაიცვლება, ზოგი კი ღრმა სიბერეს აღწევს და ავიწყდება ყველაფერი ის, რაც იცოდა. შენ ხედავ უსიცოცხლო მიწას. მაგრამ საკმარისია ჩვენ მასზე ზეგარდმოვავლინოთ წყალი, რომ ამოძრავდეს, გაფუვდეს და აღმოაცენოს ყოველგვარი მშვენიერი მცენარე!» [ალ-ჰაჯჯ: 5].

ჭეშმარიტმა(ღმერთმა) ახსენა მოცემულ აიათებში სამი ლოგიკური გონებრივი არგუმენტი, რომელიც ხელმეორედ გაცოცხლებაზე მიუთითებს, ესენია:

1) ალლაჰმა ადამიანი თავდაპირველად მიწისგან გააჩინა, და მას ვინც გააჩინა მიწისგან შეუძლია, რომ ხელმეორედ დაუბრუნოს მას სიცოცხლე, როდესაც ის მიწად გარდაიქცევა.

2) ვინც ერთი წვეთისგან (სპერმისგან) ადამიანი ჩამოაყალიბა მას შეუძლია, რომ

ადამიანი დაუბრუნოს სიცოცხლეს მისი გარდაცვალების შემდეგაც.

«იმ დღეს დავგრაგნით ზეცას ისე, როგორც გრაგნილებს წიგნისათვის. როგორც შექქემნით პირველი ქმნილება, ისევე გავიმეორებთ, ჩვენი აღთქმის თანახმად. ჭეშმარიტად, ჩვენ აღვასრულებთ». [ალ-ანბია: 104]. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{ وَمَا قَدَرُوا اللَّهَ حَقَّ قَدْرِهِ وَالْأَرْضُ جَمِيعًا قَبِضَتْهُ يَوْمَ الْقِيَامَةِ ۚ وَالسَّمَاوَاتُ مَطْوِيَّاتٌ بِيَمِينِهِ ۚ سُبْحَانَهُ وَتَعَالَى عَمَّا يُشْرِكُونَ }

«ვერ შეაფასეს მათ ღმერთი ჯეროვნად, არადა მთელი დედამიწა მის ხელში აღმოჩნდება აღდგომის დღეს, ხოლო ზეცა ჩაიხვევა მის

მკლავქვეშ! ქება-დიდება მას და დიდებულია იგი იმაზე, რასაც თანაზიარად უდგენენ!» [აზ-ზუმარ: 67]. თქვა ალლაჰის შუამავლმა (ალლაჰის ღოცვა და მშვიდობა მას):

«يَطْوِي اللَّهُ عَزَّ وَجَلَّ السَّمَاوَاتِ يَوْمَ الْقِيَامَةِ ثُمَّ يَأْخُذُهَا بِبَيْدِهِ الْيُمْنَى ثُمَّ يَقُولُ: أَنَا الْمَلِكُ أَيْنَ الْجَبَّارُونَ؟ أَيْنَ الْمُتَكَبِّرُونَ. ثُمَّ يَطْوِي الْأَرْضِينَ بِشِمَالِهِ ثُمَّ يَقُولُ: أَنَا الْمَلِكُ أَيْنَ الْجَبَّارُونَ؟ أَيْنَ الْمُتَكَبِّرُونَ؟»

«დიდებული და უზენაესი ალლაჰი დაკეცავს ცეხს განკითხვის დღეს, შემდეგ კი აიღებს მათ მისი მარჯვენა ხელით და იტყვის: "მე ვარ მეფე სად არიან ტირანები? სად არიან გაამაყებულნი?" შემდეგ დაკეცავს მიწებს მისი მარცხენათი და იტყვის: "მე ვარ მეფე სად არიან მედიდურნი? სად არიან გაამაყებულნი?" ჰადისს გადმოსცემს მუსლიმი.

შემდეგ ალლაჰი უბრძანებს ანგელოზს (ისრაფილს) და ის ჩაბერავს საყვირში მეორედ და წამოდგებიან ადამიანები შეშინებული მზერით. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{ثُمَّ نُفِخَ فِيهِ أُخْرَىٰ فَإِذَا هُمْ قِيَامٌ يَنْظُرُونَ}

«შემდეგ ჩაიბერება კიდევ ერთხელ და წამოდგებიან ისინი მომზირალნი». [აზ-ზუმარ: 68]. როცა ხელმეორედ წარმოგზავნის ალლაჰი

ქმნილებებს, მათ გააცოცხლებს
ანგარიშსწორებისთვის, უზენაესმა ბრძანა:

{يَوْمَ تَشَقُّقُ الْأَرْضُ عَنْهُمْ سِرَاعًا ذَلِكَ حَشْرٌ عَلَيْنَا يَسِيرٌ}

«იმ დღეს, როცა გაიპოზა მიწა მათგან
ასწრაფებული. ეს არის შეკრება, რომელიც
ჩვენთვის ადვილია». [ყაფ: 44]. უზენაესი
აღლაპი ბრძანებს:

{يَوْمَ هُمْ بَارِزُونَ لَا يَخْفَىٰ عَلَى اللَّهِ مِنْهُمْ شَيْءٌ لِّمَنِ الْمُلْكُ الْيَوْمَ ۖ لِلَّهِ الْوَاحِدِ
الْقَهَّارِ}

«იმ დღეს, როცა ისინი აღდგებიან, მათქან
არაფერი დაიმალება აღლაპის წინაშე. ვისია
დღეს მეუფება? აღლაპის, ერთადერთის,
ძლევამოსილის». [დააფირ: 16]. ამ დღეს აღლაპი
პასუხს აგებინებს ყველა ადამიანს, ყოველი
ჩაგრული ადამიანი მიიღებს საფასურს თავისი
მჩაგვრელისგან, ყოველი ადამიანი მიიღებს
იმას, რაც მას უკეთებია, უზენაესი აღლაპი
ბრძანებს:

{الْيَوْمَ تُجْزَىٰ كُلُّ نَفْسٍ بِمَا كَسَبَتْ ۖ لَا ظُلْمَ الْيَوْمَ ۚ إِنَّ اللَّهَ سَرِيعُ الْحِسَابِ}

«იმ დღეს მიეზღვება ყოველ სულს, რაც
მოიხვეჭა და არ იქნება უსამართლობა იმ დღეს.
ქვემაროტად, აღლაპი სწრაფია

ანგარიშსწორებისას». [ლაფირ: 17] უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{إِنَّ اللَّهَ لَا يَظْلِمُ مِثْقَالَ ذَرَّةٍ ۖ وَإِنْ تَكَ حَسَنَةً يُّضَاعِفْهَا وَيُؤْتِ مِنْ لَدُنْهُ أَجْرًا عَظِيمًا}

«ჭეშმარიტად, ალლაჰი ნამცეცის მისხალ უსამართლობასაც კი არ ჩაიდენს. და თუ რამე სიკეთე ჰქმენით, გააორმაგებს მას და თავისი წიაღიდან უდიდეს საზღაურს მისცემს». [ან-ნისა: 40]. უზენაესი ბრძანებს: «და ის, ვინც იოტისოდენა სიკეთე მაინც ჰქმნა, იხილავს იმას (ჯილდოს მიიღებს)!»

{وَمَنْ يَعْمَلْ مِثْقَالَ ذَرَّةٍ شَرًّا يَرَهُ (8)}

და ისიც, ვინც იოტისოდენა ავი ჰქმნა, იხილავს იმას (სამაგიერო მიეზღვება)». [აზ-ზალზალა: 7-8]. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{وَنَضَعُ الْمَوَازِينَ الْقِسْطَ لِيَوْمِ الْقِيَامَةِ فَلَا تُظْلَمُ نَفْسٌ شَيْئًا ۖ وَإِنْ كَانَ مِثْقَالَ حَبَّةٍ مِنْ خَرْدَلٍ أَتَيْنَا بِهَا ۖ وَكَفَىٰ بِنَا حَاسِبِينَ}

«და განვაწესებთ ჩვენ სიმართლის სასწორებს აღდგომის დღეს; და არცერთი სული არაფრით არ დაიჩაგრება. ერთი მისხალიც რომ იყოს, მას მოვიტანთ. და საკმარისნი ვართ ჩვენ ანგარიშსწორებლად». [ალ-ანბია: 47].

გაცოცხლების და განკითხვის შემდეგ ყველა მიიღებს საფასურს; ვინც აკეთა კეთილი საქმე, მას ექნება სამუდამო წყალობა, რომელიც არასდროს დასრულდება, ვინც უარყო და აკეთა ცუდი საქმე - ის მიიღებს სასჯელს. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{ الْمَلِكُ يُؤْمِنُ بِاللَّهِ يَحْكُمُ بَيْنَهُمْ ۖ فَالَّذِينَ آمَنُوا وَعَمِلُوا الصَّالِحَاتِ فِي جَنَّاتِ النَّعِيمِ (56) وَالَّذِينَ كَفَرُوا وَكَذَّبُوا بِآيَاتِنَا قَالُوا لَيْكَ لُحْمٌ عَذَابٌ مُهِينٌ (57) }

«მეუფება იმ დღეს ალლაჰს ეკუთვნის, განსჯის მათ შორის, რომელთაც ირწმუნეს და აკეთეს კეთილი საქმეები იქნებიან სამოთხის წყალობაში;

ხოლო რომელთაც უარყვეს და ცრუდ ჩათვალეს ჩვენი აიათები სწორედ მათვისაა მტკივნეული სასჯელი». [ალ-ჰაჯჯ: 56-57] და ვიცით, რომ ამქვეყნიური ცხოვრება რომ ყოფილიყო საბოლოო ცხოვრება; სიცოცხლეს და არსებობაც სრული აბსურდი იქნებოდა როგორც თქვა უზენაესმა:

{ أَفَحَسِبْتُمْ أَنَّمَا خَلَقْنَاكُمْ عَبَثًا وَأَنَّكُمْ إِلَيْنَا لَا تُرْجَعُونَ }

«ნუთუ გგონიათ, რომ ჩვენ ტყუილუბრალოდ შეგქმენით და ჩემს წინაშე

დაბრუნებულნი არ იქნებით?» [ალ-მუ'მინუნ: 115]

მეექვსე: ბედისწერის რწმენა, ეს არის რწმენა იმისა, რომ ალლაჰმა იცის ყველაფერი რაც იყო, რაც არის და რაც იქნება მომავალში ამ სამყაროში, და ალლაჰმა დაწერა ეს ყველაფერი, სანამ გააჩენდა ცებს და მიწას. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{ وَعِنْدَهُ مَفَاتِحُ الْغَيْبِ لَا يُعْلَمُهَا إِلَّا هُوَ ۚ وَيَعْلَمُ مَا فِي الْبَرِّ وَالْبَحْرِ ۚ وَمَا تَسْفُطُ مِنْ وَرَقَةٍ إِلَّا يَعْلَمُهَا وَلَا حَبَّةٍ فِي ظِلْمَاتِ الْأَرْضِ وَلَا رَطْبٍ وَلَا يَابِسٍ إِلَّا فِي كِتَابٍ مُبِينٍ }

«მასთანაა დაფარულის გასაღებნი და არავინ იცის მის გარდა. იცის, რაც ხმელეთზეა და რაც ზღვაშია და ერთი ფოთოლიც კი არ ჩამოვარდება, მან რომ არ იცოდეს. ერთი მარცვალის კი არაა დედამიწის წყვდიადში, და ერთი ნესტი და მშრალიც კი არ არის ისე, რომ ცხად წიგნში არ იყოს». [ალ-ან'ამ: 59] ალლაჰმა თავისი ცოდნით გარემოიცვა ყოველივე, უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{ اللَّهُ الَّذِي خَلَقَ سَبْعَ سَمَاوَاتٍ وَمِنَ الْأَرْضِ مِثْلَهُنَّ يَتَنَزَّلُ الْأَمْرُ بَيْنَهُنَّ لِتَعْلَمُوا أَنَّ اللَّهَ عَلَىٰ كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ وَأَنَّ اللَّهَ قَدْ أَحَاطَ بِكُلِّ شَيْءٍ عِلْمًا }

«აღლაჰია, რომელმაც გააჩინა შვიდი ზეცა, და მიწაც მათი მზგავსი, ჩამოველინება ბრძანება მათ შორის, რათა იცოდეთ, რომ აღლაჰი ყოვლისშემძლეა და რომ აღლაჰს გარემოუცავს ცოდნით ყოველივე». [ატ-ტალაჟი: 12] არაფერი მოხდება ამ სამყაროში გარდა იმისა, რასაც ინებებს აღლაჰი და ისურვებს, შემდეგ გააჩენს მას და დაუდგენს მიზეზებს, უზენაესი აღლაჰი ბრძანებს:

{الَّذِي لَهُ مُلْكُ السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضِ وَلَمْ يَتَّخِذْ وَلَدًا وَلَمْ يَكُنْ لَهُ شَرِيكٌ فِي الْمُلْكِ وَخَلَقَ كُلَّ شَيْءٍ فَقَدَرَهُ تَقْدِيرًا }

«იგია, რომელსაც ეკუთვნის მეუფება ცათა და ქვეყნისა. მას არ ჰყავს ძე და არ ჰყოლია მოზიარე მეუფებაში. შექმნა ყოველი საგანი და რიგიანად გადაანაწილა». [ალ-ფურყან: 2]. მას ამ ყველაფერში ეკუთვნის აბსოლუტური სიბრძნე, რომლის ცოდნასაც ადამიანები ვერ ჩასწვდებიან. უზენაესი აღლაჰი ამბობს:

{حِكْمَةٌ بَالِغَةٌ ۖ فَمَا تُغْنِ النُّذُرُ}

«სიბრძნე სრულყოფილი, მაგრამ ვერ არგოთ შეგონებებმა». [ალ-ყამარ: 5]. უზენაესი აღლაჰი ამბობს:

{وَهُوَ الَّذِي يَبْدَأُ الْخَلْقَ ثُمَّ يُعِيدُهُ وَهُوَ أَهْوَنُ عَلَيْهِ وَلَهُ الْمَثَلُ الْأَعْلَىٰ فِي السَّمَاوَاتِ
وَالْأَرْضِ وَهُوَ الْعَزِيزُ الْحَكِيمُ}

«იგია, რომელიც გააჩენს პირველად და მერე
აღადგენს მას. და ეს იოლია მისთვის და მას
ეკუთვნის უმაღლესი თვისებები ცათა შინა და
ქვეყანასა ზედა და იგია ძლევამოსილი, ბრძენი».
[არ-რუუმ: 27]. უზენაესმა ალლაჰმა საკუთარი
თავი დაახასიათა სიბრძნით, და საკუთარ თავს
ბრძენი უწოდა; უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{شَهِدَ اللَّهُ أَنَّهُ لَا إِلَهَ إِلَّا هُوَ وَالْمَلَائِكَةُ وَأُولُو الْعِلْمِ قَائِمًا بِالْقِسْطِ ۚ لَا إِلَهَ إِلَّا هُوَ
الْعَزِيزُ الْحَكِيمُ}

«დაამოწმა ალლაჰმა, რომ არ არსებობს
ღვთაება, მის გარდა; და ანგელოზებმაც და
მცოდნეებმაც სამართლიანად დაამოწმეს; არ
არსებობს ღვთაება, მის გარდა, ძლევამოსილისა,
ბრძენისა». [ალი იმრან: 18]. უზენაესი ალლაჰი
გვამცნობს ისა შუმავალზე (მშვიდობა მას), რომ
ის მიმართავს ალლაჰს განკითხვის დღეს
სიტყვებით:

{إِنْ تُعَذِّبُهُمْ فَإِنَّهُمْ عَبْدُكَ ۚ وَإِنْ تَغْفِرْ لَهُمْ فَإِنَّكَ أَنْتَ الْعَزِيزُ الْحَكِيمُ}

«თუკი მათ დასჯი, უქველად ისინი შენი
მსახურნი არიან; ხოლო თუ მიუტევებ მათ,

უეჭველად შენ ხარ ძლევამოსილი, ბრძენი». [ალ-მაიდა: 118]. უზენაესმა ალლაჰმა მიმართა მუსა შუამავალს (მშვიდობა მას), როცა მას მოუხმო მთა ტურის მახლობლად:

{يَا مُوسَى إِنَّهُ أَنَا اللَّهُ الْعَزِيزُ الْحَكِيمُ}

«ჰეი! მუსა, ჭეშმარიტად მე ვარ ალლაჰი ძლევამოსილი, ბრძენი». [ან-ნამლ: 9].

წმინდა ყურანიც მას სიბრძნით ახასიათებს; როგორც თქვა უზენაესმა:

{الرَّ َّ كِتَابٌ أَحْكَمْتُ آيَاتُهُ ثُمَّ فُصِّلْتُ مِنْ لَدُنْ حَكِيمٍ خَبِيرٍ}

«ალიფ. ლამ. რა. აი წიგნი, რომლის აიათები გაცხადდა, მერე განიმარტა ბრძენისა და ყოვლისმცოდნის მიერ». [ჰუუდ: 1] უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{ذَٰلِكَ مِمَّا أَوْحَىٰ إِلَيْكَ رَبُّكَ مِنَ الْحِكْمَةِ ۚ وَلَا تَجْعَلْ مَعَ اللَّهِ إِلَهًا آخَرَ فَتُنْقَلَىٰ فِي جَهَنَّمَ مَلُومًا مَّدْحُورًا}

«ეს არის რაც ზემთაგაგონა შენ შენმა ღმერთმა სიბრძნიდან. და არ დაიდგინო ალლაჰთან ერთად სხვა ღვთაება, ჩაგდებული იქნები ჯოჯოხეთში გაკიცხული და დამცირებული». [ალ-ისრა: 39]

22. შუამავლები არიან დამცველები იმისა, რაც გარდმოავლინა მათზე ალლაჰმა. და დაცულები არიან ყოველი იმისგან, რაც ეწინააღმდეგება საღ აზრს ან ჯანსაღ ზნეობას. შუამავლები პასუხისმგებელნი არიან იმაზე, რომ მიუტანონ ალლაჰის ბრძანება მის მონებს. შუამავლებს არ აქვთ განსაკუთრებული თვისებები არც შემოქმედებაში და არც თაყვანისცემაში. არამედ, ისინი არიან ჩვეულებრივი ადამიანები და მათზე გარდმოავლინა ალლაჰმა ზეშთაგონება წერილების სახით.

შუამავლები (მშვიდობა მათ) არიან დამცველები იმისა, რაც გარდმოავლინა მათზე ალლაჰმა; რადგან ალლაჰმა აირჩია საუკეთესოები გაჩენილთაგან, რათა მისი გზავნილები გადასცენ ხალხს. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{اللَّهُ يَصْطَفِي مِنَ الْمَلَائِكَةِ رُسُلًا وَمِنَ النَّاسِ ۚ إِنَّ اللَّهَ سَمِيعٌ بَصِيرٌ}

«ალლაჰი ირჩევს ანგელოზთაგან და ადამიანთაგან შუამავლებს; ქვეყნისათვის

აღლაჰი - ყოვლისმმენია, ყოვლისმხედველია»
[ალ-ჰაჯჯ: 75]. უზენაესი აღლაჰი ბრძანებს:

{إِنَّ اللَّهَ اصْطَفَىٰ آدَمَ وَنُوحًا وَآلَ إِبْرَاهِيمَ وَآلَ عِمْرَانَ عَلَى الْعَالَمِينَ}

«ქეშმარიტად, აღლაჰმა ამოარჩია სამყაროთა
წინაშე ადამი და ნუჰი, ასევე, იბრაჰიმისა და
იმრანის მოდგმა». [ალი იმრან: 33] უზენაესი
აღლაჰი ბრძანებს:

{قَالَ يُوسَىٰ إِنِّي اصْطَفَيْتُكَ عَلَى النَّاسِ بِرِسَالَتِي وَبِكَلَمِي فَخُذْ مَا آتَيْنَاكَ وَكُن مِّنَ الشَّاكِرِينَ}

«უთხრა: ჰეი მუსა! მე აგამაღლე
ადამიანთაგან, ჩემი გზავნილით და ჩემი
სიტყვით, მაშ აიღე რაც მოგეცი შენ და იყავი
მადლიერთაგან». [ალ-ა'რაფ: 144]. შუამავლებმა
(აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მათ) იციან, რომ
რაც მათზე გარდმოვევლინება ეს არის ღვთიური
ზეშთაგობენა, და ხედავენ რომ ანგელოზები
ჩამოდიან ზეგამოცხადებით. უზენაესი აღლაჰი
ბრძანებს:

{عَالِمِ الْغَيْبِ فَلَا يُظْهِرُ عَلَىٰ غَيْبِهِ أَحَدًا} (26) إِلَّا مَن ارْتَضَىٰ مِن رَّسُولٍ فَإِنَّهُ
يَسْأَلُكَ مِن بَيْنِ يَدَيْهِ وَمِنْ خَلْفِهِ رَصَدًا (27) لِّيَعْلَمَ أَن قَدِ ابْلَغُوا رِسَالَاتِ رَبِّهِمْ
وَاحْطَ بِمَا أَدْنَاهُمْ وَأَحْصَىٰ كُلَّ شَيْءٍ عَدَدًا (28)

«იგია დაფარულის მცოდნე და არავის გაუმხელს თავის დაფარულის.

გარდა მისი, ვისზეც არის კმაყოფილი შუმავალთაგან, ჭეშმარიტად ის მეთვალყურეებს მიუჩენს მას წინ და უკან

რათა იცოდეს, რომ მათ ამცნეს თავიანთი ღმერთის გზავნილი, და მოიცვა რაც არის მათთან, და დათვალა ყოველივე რიცხოზრევად». [ალ-ჯინნ: 26-28]. უბრძანა მათ ალლაჰმა, რომ მიეტანათ ხალხთან მისი გზავნილები. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{يَا أَيُّهَا الرُّسُلُ بَلِّغْ مَا أُنْزِلَ إِلَيْكَ مِنْ رَبِّكَ ۚ وَإِنْ لَمْ تَفْعَلْ فَمَا بَلَّغْتَ رِسَالَتَهُ ۚ وَاللَّهُ يَعْصِمُكَ مِنَ النَّاسِ ۚ إِنَّ اللَّهَ لَا يَهْدِي الْقَوْمَ الْكَافِرِينَ}

«ო, შუამავალო! (ხალხს) მიუწვდინე იგი, რაც ჩამოგვევლინა შენი ღმერთისგან; და თუ არ იზამ, მაშინ არ მიგიწვდენია მისი წერილი. ხოლო ხალხისგან ალლაჰი დაგიცავს. უეჭველად, ალლაჰი ურწმუნო ხალხს არ დააკვალიანებს ჭეშმარიტ გზაზე». [ალ-მაიდა: 67] უზენაესი ბრძანებს:

{رُسُلًا مُبْتَلَيْنَ وَمُنْذِرِينَ لئَلَّا يَكُونَ لِلنَّاسِ عَلَى اللَّهِ حُجَّةٌ بَعْدَ الرُّسُلِ ۚ وَكَانَ اللَّهُ غَزِيرًا حَكِيمًا}

«შუამავლები, მახარობელნი და მაფრთხილებელნი, რათა შუამავლების შემდგომ ხალხს არ ჰქონოდა საფუძველი ალლაჰის წინაშე (თავის მართლების). ალლაჰი ძლევამოსილია; ბრძენია». [სურა ან-ნისა: 165].

შუამავლებს (ლოცვა და მშვიდობა მათ) ძლიერი მოკრძალება გააჩნიათ ალლაჰის და ემინიათ მისი; არაფერს დაამატებენ მის გამოგზავნილ წერილს და არც მოაკლებენ როგორც ამბობს უზენაესი ალლაჰი:

{ وَلَوْ تَقَوَّلَ عَلَيْنَا بَعْضُ الْأَقَاوِيلِ (44) لَأَخَذْنَا مِنْهُ بِالْيَمِينِ (45) ثُمَّ لَقَطَعْنَا مِنْهُ الْوَتِينَ (46) فَمَا مِنْكُمْ مِنْ أَحَدٍ عَنْهُ حَاجِزِينَ (47) }

«და თუ იგი ჩვენ მოგვაწერდა ზოგიერთ ნათქვამს,

ჩვენ მას შევიპყრობდით მარჯვენათი.

მერე გადავუჭრიდით გულის დედოძარღვს.

და თქვენგან არავის შეუძლია მისი შეკავება.»

[ალ-ჰაყყა: 44-47]. თქვა იბნი ქასირმა (ალლაჰმა შეიწყალოს ის): «უზენაესი ამობს: {და რომ ჩვენზე} ანუ: მუჰამმედს - ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას- ისე რომ ყოფილიყო როგორც ჩვენზე ცილისმწამებელნი ამბობენ: რომ

ჩაემატებინა ან ამოეკლო ამ წერილში (ყურანში) რაიმე მისგან დამატებით ან ამოკლებით და შემდეგ ეს ჩვენთვის მოეწერა - ასე არ ყოფილამას მაშინვე დავსჯიდით. ამიტომ თქვა: {აუცილებლად შევიპყრობდით მას მარჯვენათი}, ასევე ითქვა: ამის მნიშვნელობა რომ მას მარჯვენათი დავსჯიდით; რადგან მარჯვენა უფრო ძლიერია (ძლიერი სასჯელი). ასევე ითქვა: მას მოვკვეთდით მარჯვენა ხელს». უზენაესმა ალლაჰმა თქვა:

{وَإِذْ قَالَ اللَّهُ يُعِيسَى ابْنَ مَرْيَمَ ءَأَنْتَ قُلْتُ لِلنَّاسِ اتَّخِذُونِي وَأُمِّي إِلَهَيْنِ مِنْ دُونِ اللَّهِ قَالِ سُبْحَانَكَ مَا يَكُونُ لِي أَنْ أَقُولَ مَا لَيْسَ لِي بِحَقٍّ إِنْ كُنْتُ فُلْتُهُ فَقَدْ عَلِمْتَهُ تَعْلَمَ مَا فِي نَفْسِي وَلَا أَعْلَمُ مَا فِي نَفْسِكَ إِنَّكَ أَنْتَ عَلِيمُ الْغُيُوبِ . مَا قُلْتُ لَهُمْ إِلَّا مَا أَمَرْتَنِي بِهِ أَنْ أَعْبُدُوا اللَّهَ رَبِّي وَرَبَّكُمْ وَكُنْتُ عَلَيْهِمْ شَهِيدًا مِمَّا دُمْتُ فِيهِمْ فَلَمَّا تَوَفَّيْتَنِي كُنْتُ أَنْتَ الرَّقِيبَ عَلَيْهِمْ وَأَنْتَ عَلَى كُلِّ شَيْءٍ شَهِيدٌ }

«როცა ეტყვის ალლაჰი: ჰეი! ისა, მეო მარიამისა! შენ უთხარი ხალხს, რომ მე და დედაჩემი ალლაჰის გარდა კიდევ ორ ღვთაებად აგვირჩიეთო? მიუგო: შენ ყოვლად უნაკლო ხარ! არ შემეფერებოდა იმის თქმა, რისი უფლებაც არ მაქვს. ეგ რომც მეთქვა, უთუოდ გეცოდინებოდა. შენ უწყი, რაცაა ჩემში, ხოლო მე არ ვიცი, რაცაა შენში. ჭეშმარიტად, შენა ხარ უხილავთა

უნაკლოდ მცოდნე. მათვის არაფერი მითქვამს სხვა გარდა იმის რაც მიბრძანე, რომ ეთაყვანეთ ალლაჰს, ჩემს ღმერთს და თქვენს ღმერთს, მე ვიყავი მათზე მოწმე, სანამ მათ შორის ვიყავი, და როდესაც ამამალლე შენ იყავი მათი მეთვალყურე, და შენ ხარ ყოველივეს მოწმე».

[ალ-მაიდა: 116-117].

და ვინც გამოარჩია ალლაჰმა მოციქულთაგან და შუამავალთაგან (ლოცვა და მშვიდობა მათ) ჭეშმარიტად ალლაჰი განამტკიცებს მათ თავისი გზავნილების გადაცემის დროს. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{قَالَ إِنِّي أَنشَدُ اللَّهَ وَأَشْهَدُ أَنِّي بَرِيءٌ مِّمَّا تُشْرِكُونَ (54) مِنْ دُونِهِ فَكَيْدُونِي جَمِيعًا ثُمَّ لَا تُنْظَرُونَ (55) إِنِّي تَوَكَّلْتُ عَلَى اللَّهِ رَبِّي وَرَبِّكُمْ مَا مِنْ دَابَّةٍ إِلَّا هُوَ آخِذٌ بِنَاصِيَّتِهَا إِنَّ رَبِّي عَلَى صِرَاطٍ مُسْتَقِيمٍ}

«უთხრა: მე ვიმოწმებ ალლაჰს და თქვენც მოწმენი იყავით, რომ შორს ვარ იმისაგან, რასაც თანაზიარად უდგენთ მის გარდა. ხლართეთ თქვენი ხრიკები ერთიანად და ნუ გადამივადლებთ

ჭეშმარიტად, მე მივენდე ალლაჰს, თქვენს ღმერთსა და ჩემს ღმერთს. ქვეყნად არ არის

სულიერი, რომ მას არ ეჭიროს ქოჩრით. ჭეშმარიტად, ჩემი ღმერთი ჭეშმარიტ გზაზეა».

[ჰუდ: 54-56]. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{وَإِنْ كَانُوا لَيَفْقَهُونَكَ عَنِ الَّذِي أَوْحَيْنَا إِلَيْكَ لِتَفْتَرِيَ عَلَيْنَا غَيْرَهُ ۖ وَإِذَا لَا تَخَذُوكَ خَلِيلًا (73) وَلَوْلَا أَنْ تَبَيَّنَّاكَ لَقَدْ كِدْتَ تَرْكُنُ إِلَيْهِمْ شَيْئًا قَلِيلًا (74) إِذَا لَا أَذْنَاكَ ضِعْفُ الْحَيَاةِ وَضِعْفُ الْمَمَاتِ ثُمَّ لَا تَجِدُ لَكَ عَلَيْنَا نَصِيرًا (75)}

«და, კინალამ გაცდუნეს იმისგან, რაც ზემთაგაგონეთ, რათა შეგეთხზა ჩვენს წინააღმდეგ სხვა(აიათები) და მაშინ ამოგიჩვენებდნენ ისინი მეგობრად.

და ჩვენ რომ არ განგვემტკიცებინე, ვფიცავ, შენ მათკენ ცოტას გადაიხრებოდი.

მაშინ, უთუოდ გაგემბდით შენ ორმაგ სასჯელს სიცოცხლისას და ორმაგს მკვდარს. და ვერავის ნახავდი ჩვენს წინააღმდეგ შემწეს».

[ალ-ისრა: 73-75]. ეს და წინა აიათები არის იმის მოწმე და არგუმენტი, რომ ყურანი არის სამყაროთა ღმერთიდან გადმოვლენილი; რადგან ის რომ შუამავალი მუჰამედისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყოფილიყო, რატომ დააზღვევდა მას ასეთი მისკენ მიმართული სიტყვებით.

ყოვლადუნაკლო და უზენაესი ალლაჰი იცავს
თავის მოციქულებს ადამიანებისგან, უზენაესი
ალლაჰი ბრძანებს:

{ يَا أَيُّهَا الرُّسُولُ بَلِّغْ مَا أُنْزِلَ إِلَيْكَ مِنْ رَبِّكَ ۖ وَإِنْ لَمْ تَفْعَلْ فَمَا بَلَّغْتَ رِسَالَتَهُ ۗ
وَاللَّهُ يَعْصِمُكَ مِنَ النَّاسِ ۚ إِنَّ اللَّهَ لَا يَهْدِي الْقَوْمَ الْكَافِرِينَ }

«ო, შუამავალო! (ხალხს) მიუწვდინე იგი, რაც
ჩამოგევლინა შენი ღმერთისგან; და თუ არ იზამ,
მაშინ არ მიგიწვდენია მისი წერილი. ხოლო
ხალხისგან ალლაჰი დაგიცავს. უეჭველად,
ალლაჰი ურწმუნო ხალხს არ დააკვალიანებს
ქეშმარიტ გზაზე». [ალ-მაიდა: 67] უზენაესი
ალლაჰი ბრძანებს:

{ وَاتْلُ عَلَيْهِمْ نَبَأَ نُوحٍ إِذْ قَالَ لِقَوْمِهِ يَا قَوْمِ إِنْ كَانَكُمْ مَقَامِي وَتَذْكُرِي
بِآيَاتِ اللَّهِ فَعَلَى اللَّهِ تَوَكَّلْتُ فَأَجْمِعُوا أَمْرَكُمْ وَشُرَكَاءَكُمْ ثُمَّ لَا يَكُنْ أَمْرُكُمْ عَلَيْكُمْ غُمَّةً
ثُمَّ اقْضُوا إِلَيَّ وَلَا تَنْتَظِرُونِ }

«წაუკითხე მათ ნუჰის ამბავი. და უთხრა მან
თავის ხალხს: ჰეი ჩემო ხალხო, თუ გემნელებათ
ჩემი აქ ყოფნა და ალლაჰის აიათების შეხსენება,
მაშ ალლაჰს მივენდობი. შეკრიბეთ თქვენი საქმე
და თქვენი თანაზიარნი და იმოქმედეთ, მაგრამ
მწუხარებად არ გექცეთ. განმსაჯეთ, და ნუ
გადამივადებთ». [იუნუს: 71] ალლაჰმა გვამცნო

მუსას სიტყვებთან დაკავშირებით (მშვიდობა მას): «უთხრეს: ღმერთო ჩვენო, ვშიშობთ, რომ შემოგვიტევს ან ზღვარს გადავა. მიუგო: ნუ გეშინიათ. მე თქვენთანა ვარ, მე მესმის და ვხედავ». [ტაჰა: 45-46]. და განმარტა უზენაესმა ალლაჰმა, რომ ის არის მისი შუამავლების (მშვიდობა მათ) დამცავი მათი მტრებისგან, ისინი მათთან ვერ მიაღწევენ და ვერაფერს დაუშავენ. და გვამცნო უზენაესმა და ყოვლადუნაკლომ, რომ ის იცავს თავის გამოცხადებას რამეთუ, მასში არც დამატება იქნება და არც არაფერი მოაკლდება მას. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{إِنَّا نَحْنُ نُزِّلْنَا الذِّكْرَ وَإِنَّا لَهُ لَحَافِظُونَ}

«ქეშმარიტად ჩვენ გარდმოვავლინეთ შეხსენება, და ქეშმარიტად ჩვენ ვართ მისი დამცველნი». [ალ-ჰიჯრ: 9]

მოციქულები (მშვიდობა მათ) დაცულნი არიან ყველაფრისგან, რაც ეწინააღმდეგება გონებას და ზნეობას; უზენაესმა მისი შუამავალი მუჰამედი შეაქო და თქვა:

{وَإِنَّكَ لَعَلَىٰ خُلُقٍ عَظِيمٍ}

«და ჭეშმარიტად, შენ ადგახარ უმაღლეს ზნეობას» [ალ-ყალამ: 4] ასევე თქვა:

{وَمَا صَاحِبُكُمْ بِمَجْنُونٍ}

«და თქვენი მეგობარი, არ არის შეშლილი» [ათ-თაჟვირ: 22]. ეს იმიტომ, რომ მოსული წერილები საუკეთესო ფორმით გადასცენ ხალხს. შუამავლები პასუხისმგებელნი არიან იმაზე, რომ მიუტანონ ალლაჰის ბრძანება მის მონებს. შუამავლებს არ აქვთ განსაკუთრებული თვისებები არც შემოქმედებაში და არც თაყვანისცემაში. არამედ, ისინი არიან ჩვეულებრივი ადამიანები და მათზე გარმდოავლინა ალლაჰმა ზემოთაგონება წერილების სახით. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{قَالَتْ لَهُمْ رُسُلُهُمْ إِنْ نَحْنُ إِلَّا بَشَرٌ مِّثْلُكُمْ وَلَٰكِنَّ اللَّهَ يَمُنُّ عَلَىٰ مَنْ يَشَاءُ مِنْ عِبَادِهِ ۖ وَمَا كَانَ لَنَا أَنْ نَأْتِيَكُمْ بِسُلْطَانٍ إِلَّا بِإِذْنِ اللَّهِ ۚ وَعَلَى اللَّهِ فَلْيَتَوَكَّلِ الْمُؤْمِنُونَ}

«უთხრეს მათ თავიანთმა შუამავლებმა: ჩვენ მხოლოდ კაცები ვართ თქვენი მსგავსი, თუმცა ალლაჰი წყალობას ანიჭებს იმას, ვისაც ინებებს თავის მსახურთაგან, და ვერ შევძლებდით მოგვეტანა თქვენთვის მტკიცება, რომ არა

აღლაჰის ნება. მაშ ალლაჰს მიენდნონ
მორწმუნენი». [იბრაჰიმ: 11]. უზენაესი ალლაჰი
უბრძანებს თავის შუამავალს მუჰამედს
(აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ
უთხრას თავის ხალხს:

قُلْ إِنَّمَا أَنَا بَشَرٌ مِّثْلُكُمْ يُوحَىٰ إِلَيَّ أَنَّمَا إِلَهُكُمُ إِلَهُ وَاحِدٌ ۚ فَمَن كَانَ يَرْجُوا لِقَاءَ رَبِّهِ
فَلْيَعْمَلْ عَمَلًا صَالِحًا وَلَا يُشْرِكْ بِعِبَادَةِ رَبِّهِ أَحَدًا {

«უთხარი: მე მხოლოდ ადამიანი ვარ. თქვენი
მსგავსი და ზემთამეგონა, რომ თქვენი ღმერთი
ერთადერთი ღმერთია. და იმან, ვინც
იმედოვნებს თავის ღმერთთან შეხვედრას, დაე
მართალი საქმე აკეთოს და ნურავის დაუდგენს
თანაზიარად თავის ღმერთს თაყვანისცემაში».
[ალ-ქაჰფ: 110].

23. ისლამი მოუწოდებს, რომ ადამიანმა
ეთაყვანოს მხოლოდ ერთადერთ ღმერთს -
ალლაჰს, თაყვანისცემის უდიდესი
საფუძვლებით და ესენია: ლოცვა, რომელიც
შეიცავს: დგომას, წელში მოხრას,
ქედმოხრას, ალლაჰის ხსენებას, შექებასა და
ვედრებას მასზე. ადამიანი ლოცულობს

დღეში ხუთჯერ და წყდება მასში
განსხვავება მდიდარსა და ღარიბს შორის,
მმართველსა და ქვეშევრდომს შორის
ლოცვის ერთ მწკრივში. ზაქათი - ეს არის
გარკვეული რაოდენობა ქონებიდან,
რომლის პირობები და ოდენობა
აღლაჰისგან არის დამტკიცებული და ეს
არის მდიდრების ვალდებულება, რომ
გასცენ ღარიბებზე და მათ მსგავსებზე
წელიწადში ერთხელ. მარხვა - ეს არის:
რამადანის თვეში საკვების მიღებისგან
თავის შეკავება დღის განმავლობაში,
გამოსცადოს საკუთარი სურვილი და
მოთმინება. პილიგრიმობა (ჰაჯობა) - ეს
არის: მოინახულოს აღლაჰის სახლი
დალოცვილ მექქაში, სიცოცხლეში ერთხელ,
შემღებისდამიხედვით და მასში ყველა
არის თანაბარი შემქნელისკენ მიმართვაში

წმინდა არის ის. და ქრება მასში ყველანაირი კუთვნილებები და განსხვავებები.

ისლამი მოუწოდებს ალლაჰის ღვთისმსახურებისკენ დიდი ღვთისმსახურებით და კიდე სხვა ღვთისმსახურებებით, ეს დიდი ღვთისმსახურებები ალლაჰმა ყველა მოციქულს და შუამავალს დაავალა (ლოცვა და მშვიდობა მათ), ყველაზე დიდი ღვთისმსახურება არის:

პირველი: ლოცვა. ალლაჰმა ის სავალდებულოდ აქცია მუსლიმებზე, როგორც დაავალდებულა წინათ მყოფი ყველა მოციქული და შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მათ). მან უბრძანა თავის შუამავალს და მეგობარს იბრაჰიმს (მშვიდობა მას) რომ გაესუფთავებინა თავისი სახლი მომლოცველებისთვის, მლოცველებისთვის, რუქუს და საჯდას შემსრულებლებისთვის. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{وَإِذْ جَعَلْنَا الْبَيْتَ مَثَابَةً لِّلنَّاسِ وَأَمْنًا وَاتَّخِذُوا مِن مَّقَامِ إِبْرَاهِيمَ مُصَلًّى ۖ وَوَعَدْنَا
إِلَىٰ إِبْرَاهِيمَ وَإِسْمَاعِيلَ أَنَّ طَهِّرَا بَيْتِيَ لِلطَّائِفِينَ وَالْعَاكِفِينَ وَالرُّكَّعِ السُّجُودِ}

«აკი, ეს სახლი (ქააბა) ხალხის თავშეყრისა და უსაფრთხოების ადგილად დავადგინეთ, მაშ, იბრაჰიმის ნადგომიდან დაიდგინეთ სამლოცველო. და ჩვენ დავავალეთ იბრაჰიმსა და ისმაილს, რომ ჩემი სახლი განეწმინდათ(კერპებისგან) იმათთვის, ვინც ტავაფს აკეთებს, ღვთისმასუხეხას მიეცა ან რუქუ'ითა და საჯდათია დაკავებული». [ალ-ბაყარა: 125]. და ის დაავალდებულა მუსას ალლაჰმა თავის პირველი დამახეხის დროს, როდესაც დაელაპარაკა მუსას (მშვიდობა მას). უზენაესმა ალლაჰმა უთხრა:

{ إِيَّيْنَا أَنَا رَبُّكَ فَاخْلَعْ نَعْلَيْكَ ۖ إِنَّكَ بِالْوَادِ الْمُقَدَّسِ طُوًى (12) وَأَنَا اخْتَرْتُكَ فَاسْتَمِعْ لِمَا يُوحَى (13) إِنَّنِي أَنَا اللَّهُ لَا إِلَهَ إِلَّا أَنَا فَاعْبُدْنِي وَأَقِمِ الصَّلَاةَ لِذِكْرِي (14) }

«ქეშმარიტად მე ვარ შენი ღმერთი! მაშინ გაიხადე ფეხსაცმელი, შენ წმინდა ტუვას ხეობაში იმყოფები».

და მე შენ აგირჩიე, მოისმინე რაც ზემთაგეგონება

ქეშმარიტად, მე ვარ ალლაჰი! არ არსებობს ღვთაება, ჩემს გარდა. თაყვანი მეცი და ლოცვად

დადექი ჩემს სახსენებლად!» [ტაჰა: 12-14]. მესია გვამცნობს (მშვიდობა მას), რომ ალლაჰმა მას ლოცვა და ზაქათის გაცემა უბრძანა, როგორც ალლაჰმა გვამცნო მასთან დაკავშირებით:

{ وَجَعَلَنِي مُبَارَكًا أَيْنَ مَا كُنْتُ وَأَوْصَانِي بِالصَّلَاةِ وَالزَّكَاةِ مَا دُمْتُ حَيًّا }

და დამადგინა მე ბარაქიანად სადაც არ უნდა ვიყო, და მიბრძანა შევასრულო ლოცვა და გავიღო ზაქათი, სანამ ცოცხალი ვარ» [მარიამ: 31]. ისლამში ლოცვის შემადგენელი ნაწილებია: ფეხზე დგომა, "რუქუ'ი" წელში მოხრა, "სუჯუდ" მიწიერი თაყვანისცემა, ალლაჰის ხსენება და მისი განდიდება და ვედრება. ადამიანი ლოცვას ყოველდღე ხუთჯერ ასრულებს, უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{ حَافِظُوا عَلَى الصَّلَوَاتِ وَالصَّلَاةِ الْأُولَىٰ وَفُؤُومُوا لِلَّهِ قَانِتِينَ }

«დაიცავით ლოცვები და განსაკუთრებით შუა ლოცვა (ნაშუადღევის); და ალლაჰის წინაშე მოკრძალებულად დადექით». [ალ-ბაყარა: 238]. ასევე უზენაესმა ბრძანა: «დადექი ლოცვად მზის გადახრისას ღამის დაბინდებამდე და იკითხე ყურანი გამთენიისას. ჭეშმარიტად, დილის

ლოცვა მოწმეობაა». [ალ-ისრა: 78]. თქვა
შუამავალმა (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა
მას):

﴿فَأَمَّا الرُّكُوعُ فَعَظُمُوا فِيهِ الرَّبُّ عَزَّ وَجَلَّ وَأَمَّا السُّجُودُ فَاجْتَهَدُوا فِي الدُّعَاءِ
فَقَمِّنْ أَنْ يُسْتَجَابَ لَكُمْ﴾

«რაც შეეხება "რუქუ'ზე" წელში მოხრის დროს -
განადიდეთ დიდებული ღმერთი, ხოლო
"სუჯუდზე" როცა თავს დაბლა დებთ ეცადეთ
იქ ვედრების გაკეთება; რამეთუ ყველაზე
შესაფერისი მომენტია, სადაც ვედრება
შესმენილი იქნება». საჰიკ მუსლიმი.

მეორე: ზაქათი. დაავალდებულია აღლაჰმა
მუსლიმებს ზაქათის გაცემა, როგორც
დაავალდებულია წინათ მყოფ მოციქულებს და
შუამავლებს (ლოცვა და მშვიდობა მათ), ეს არის
ქონების მცირე ნაწილი - იმ პირობების და
ოდენობის გათვალისწინებით, რაც აღლაჰმა
დააწესა, სავალდებულო მდიდარი ადამიანების
ქონებიდან, რომელიც გაიღება წელიწადში
ერთხელ ღარიბებზე და სხვებზე. უზენაესი
აღლაჰი ბრძანებს:

{ خُذْ مِنْ أَمْوَالِهِمْ صَدَقَةً تُطَهِّرُهُمْ وَتُزَكِّيهِمْ بِهَا وَصَلِّ عَلَيْهِمْ ۖ إِنَّ صَلَاتَكَ سَكَنٌ
لَهُمْ ۖ وَاللَّهُ سَمِيعٌ عَلِيمٌ }

«აიღე მათი ქონებიდან მოწყალეობა, რომლითაც განწმენდ და გაამართლებ მათ, და ილოცე მათთვის, რადგან შენი ლოცვა სიმშვიდეა მათთვის, და ალლაჰი ყოვლისგამგონე, ყოვლისმცოდნეა». [ალ-თავბა: 103]. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როდესაც მუაზი (ალლაჰის იყოს მისით კმაყოფილი) გაზავნა იემენში, მას უთხრა:

«إِنَّكَ تَأْتِي قَوْمًا أَهْلَ كِتَابٍ فَادْعُهُمْ إِلَى شَهَادَةِ أَنْ لَا إِلَهَ إِلَّا اللَّهُ وَأَنِّي رَسُولُ اللَّهِ فَإِنْ هُمْ أَطَاعُوكَ لِذَلِكَ فَأَعْلِمُهُمْ أَنَّ اللَّهَ عَزَّ وَجَلَّ افْتَرَضَ عَلَيْهِمْ خُمْسَ صُلُواتٍ فِي كُلِّ يَوْمٍ وَلَيْلَةٍ فَإِنْ أَطَاعُوا لِذَلِكَ فَأَعْلِمُهُمْ أَنَّ اللَّهَ عَزَّ وَجَلَّ افْتَرَضَ عَلَيْهِمْ صَدَقَةً فِي أَمْوَالِهِمْ تُؤْخَذُ مِنْ أَغْنِيَائِهِمْ وَتُرَدُّ فِي فُقَرَائِهِمْ فَإِنْ هُمْ أَطَاعُوكَ لِذَلِكَ فَإِيَّاكَ وَكَرَائِمَ أَمْوَالِهِمْ وَأَتَى دَعْوَةَ الْمَظْلُومِ فَإِنَّهَا لَيْسَ بَيْنَهَا وَبَيْنَ اللَّهِ عَزَّ وَجَلَّ حِجَابٌ»

«შენ მიდიხარ ხალხთან, რომლებიც წიგნის ხალხია. როცა მათთან მიხვალ, მოუწოდე მათ, რომ დაამოწმონ: არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა და რომ მუჰამადი ალლაჰის მოციქულია. თუ ისინი დაგემორჩილდებიან ამაში, აცნობე მათ, რომ ალლაჰმა სავალდებულო გახადა მათთვის დღეში ხუთჯერ ლოცვა. თუ ისინი დაგემორჩილებიან ამაში აცნობე მათ, რომ ალლაჰმა დააკისრა მათ ზაქათი, რომელიც მდიდრებიდან უნდა იყოს აღებული და ღარიბებისთვის გადაცემული. თუ ისინი

დაგემორჩილდებიან ამაში, ფრთხილად იყავი, რომ არ წაართვა მათ საუკეთესო ქონება და ერიდე დაჩაგრულის წყევლას, რადგან მის ვედრებასა და ალლაჰს შორის ბარიერი არ არსებობს». გადმოცემულია ათ-თირმეზი: 625.

მესამე: მარხვა. უზენაესმა ალლაჰმა სავალდებულო გახადა მუსლიმებზე, როგორც იყო სავალდებულო წინ მყოფ მოციქულებზე და შუამავლებზე (ლოცვა და მშვიდობა მათ), უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا كُتِبَ عَلَيْكُمُ الصِّيَامُ كَمَا كُتِبَ عَلَى الَّذِينَ مِن قَبْلِكُمْ لَعَلَّكُمْ تَتَّقُونَ}

«ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაწერილია თქვენზე მარხვა, როგორც დაწერილი იყო იმათთვის, ვინც თქვენზე უწინ იყო, ეგების (ალლაჰის) გემინოდეთ». [ალ-ბაკარა: 183]. მარხვა არის: დღის განმავლობაში მარხვის მომშლელებისგან თავის შეკავება (ჭამა, დალევა, ცოლ-ქმრული თანაცხოვრება, და სხვა) რამადანის თვეში, მარხვა აძლიერებს ადამიანებში ცნობიერებას და მოთმინებას. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«يَقُولُ اللَّهُ عَزَّ وَجَلَّ: الصَّوْمُ لِي وَأَنَا أَجْزِي بِهِ يَدْعُ شَهْوَتَهُ وَأَكْلَهُ وَشَرْبَهُ مِنْ أَجْلِي
وَالصَّوْمُ جُنَّةٌ وَلِلصَّائِمِ فَرْحَتَانِ: فَرْحَةٌ حِينَ يَفْطُرُ وَفَرْحَةٌ حِينَ يَلْقَى رَبَّهُ»

«უზენაესი ალლაჰი ამბობს: მარხვა მე მეკუთვნის და მე მივცემ მის საფასურს; ჩემს გამო მიატოვა ვნებები, საკვები და სასმელი. მარხვა ფარია, მარხულ ადამიანს ორი სიხარული აქვს: სიხარული როცა მარხვა სრულდება და მიირთმევს, და სიხარული როცა შეხვდება თავის ღმერთს». საჰიჰი ალ-ბუხარი (7492).

მეთხე: ჰაჯობა. უზენაესმა ალლაჰმა სავალდებულო გახადა მუსლიმებზე, როგორც იყო სავალდებულო მის წინ მყოფ მოციქულებზე და შუამავლებზე (მშვიდობა მთ), ალლაჰმა უბრძანა თავის მეგობარს და შუამავალს იბრაჰიმს (მშვიდობა მას) რომ მოეხმო ჰაჯობისკენ. უზენაესი ბრძანებს:

{وَأَذِّنْ فِي النَّاسِ بِالْحَجِّ يَأْتُوكَ رِجَالًا وَعَلَى كُلِّ ضَامِرٍ يَأْتِينَ مِنْ كُلِّ فَجٍّ عَمِيقٍ }

«და აუწყე ხალხს ჰაჯის შესახებ. მოვიდნენ შენთან ფეხითა და ჩქარმავალი აქლემებით, მოვლენ ყოველი შორეული მხრიდან». [ალ-ჰაჯჯ: 27] ალლაჰმა უბრძანა მას გაესუფთავებინა წმინდა სამლოცველო ქააბა

(კერპებისგან) ჰაჯობის შემსრულებელი მომლოცველთათვის, უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{وَإِذْ بَوَّأْنَا لِإِبْرَاهِيمَ مَكَانَ الْبَيْتِ أَنْ لَا تُشْرِكْ بِي شَيْئًا وَطَهَّرَ بَيْتِيَ لِلطَّائِفِينَ وَالْقَائِمِينَ وَالرُّكَّعِ السُّجُودِ }

«და მივუთითეთ იბრაჰიმს ადგილი სახლისა(ქააბა): არ დამიდგინო არავინ თანაზიარად და წმინდად შეინახე ჩემი სახლი გარსშემომვლელთათვის, მდგომთათვის, თაყვანისმცემელთა და მუხლმოყრილთათვის».

[ალ-ჰაჯჯ: 26]

ჰაჯობა არის: ალლაჰის სახლის მოლოცვა მექქაში, განსაზღვრული ქმედებების შესაბამისად სიცოცხლეში ერთხელ მაინც, ფინანსური და ფიზიკური შესაძლებლობის შემთხვევაში. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{وَلِلَّهِ عَلَى النَّاسِ حُجُّ الْبَيْتِ مَنِ اسْتَطَاعَ إِلَيْهِ سَبِيلًا ۚ وَمَنْ كَفَرَ فَإِنَّ اللَّهَ غَنِيٌّ عَنِ الْعَالَمِينَ }

«ალლაჰი ავალდებულებს ადამიანს, ვისაც ძალა შესწევს გაემგზავროს და მოილოცოს სახლი (ქააბა), და ვინც უარყო, უეჭველად ალლაჰი მდიდარია სამყაროებსა ზედა». [ალი

იმრან: 97]. ჰაჯობის პერიოდში იკრიბებიან მუსლიმი მომლოცველები ერთ ადგილას წრფელად ღვთისმსახურების შესასრულებლად გამჩენი და უზენაესი ღმერთის წინაშე. ყველა მომლოცველი ჰაჯობის რიტუალებს ერთნაირად ასრულებს, სადაც არ არსებობს სოციალური, კულტურული და ცხოვრების დონის განსხვავებები.

**24. ისლამი გამოირჩევა უდიდესი
თაყვანისცემებით, თავისი ფორმებით,
განსაზღვრული დროებით და პირობებით,
რომლებიც დააკანონა წმინდა და
დიდებულმა ალლაჰმა და მიაწვდინა თავის
შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა
მას), და არ შეუტანია მასში ცვლილება
ადამიანს, არც დაუმატებია და არც
დაუკლია რაიმე დღემდე და ამ უდიდესი
თაყვანისცემისკენ მოუწოდებდა ყველა
შუამავალი (მშვიდობა მათ).**

ისლამი	გამოირჩევა	უდიდესი
თაყვანისცემებით,	თავისი	ფორმებით,

განსაზღვრული დროებით და პირობებით, რომლებიც დააკანონა წმინდა და დიდებულმა ალლაჰმა და მიაწვდინა თავის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), და არ შეუტანია მასში ცვლილება ადამიანს, არც დაუმატებია და არც დაუკლია რაიმე დღემდე. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{الْيَوْمَ أَكْمَلْتُ لَكُمْ دِينَكُمْ وَأَتِمَمْتُ عَلَيْكُمْ نِعْمَتِي وَرَضِيْتُ لَكُمُ الْإِسْلَامَ دِينًا}

«დღეს მე სრულვწყავი თქვენი რჯული, სრულად გიბოძეთ ჩემი წყალობა და თქვენთვის ისლამის რჯულით ვარ კმაყოფილი». [ალ-მაიდა: 3]. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{فَاسْتَمْسِكْ بِالَّذِي أُوحِيَ إِلَيْكَ إِنَّكَ عَلَى صِرَاطٍ مُسْتَقِيمٍ}

«მაშ, ჩაეჭიდე იმას რაც ზემთაგეგონა შენ; ჭეშმარიტად შენ ადგახარ სწორ გზას». [აზ-ზუხრუფ: 43] უზენაესი ალლაჰი ამბობს ლოცვის შესახებ:

{فَإِذَا قَضَيْتُمُ الصَّلَاةَ فَادْكُرُوا اللَّهَ قِيَامًا وَقُعُودًا وَعَلَىٰ جُنُوبِكُمْ ۚ فَإِذَا اطْمَأْنَنْتُمْ فَأَقِيمُوا الصَّلَاةَ ۚ إِنَّ الصَّلَاةَ كَانَتْ عَلَى الْمُؤْمِنِينَ كِتَابًا مَوْفُورًا}

«ხოლო როდესაც ლოცვას მორჩებით, ახსენეთ ალლაჰი დგომისას, ჯდომისას თუ მხარზე წამოწოლილნი, და როცა თავს

უსაფრთხოდ იგრძნობთ, მაშინ (სრულად) აღავლინეთ ლოცვა. ჭეშმარიტად, განსაზღვრულ დროებში ლოცვა სავალდებულოა მორწმუნეთათვის». [ან-ნისა: 103]. უზენაესი ამბობს ალლაჰი იმაზე, თუ ვის გაეცემა ზაქათი:

{ إِنَّمَا الصَّدَقَتُ لِلْفُقَرَاءِ وَالْمَسْكِينِ وَالْعَمِلِينَ عَلَيْهَا وَالْمُؤَلَّفَةِ قُلُوبُهُمْ وَفِي الرِّقَابِ وَالْغُرَمِينَ وَفِي سَبِيلِ اللَّهِ وَأَبْنِ السَّبِيلِ فَرِيضَةً مِّنَ اللَّهِ وَاللَّهُ عَلِيمٌ حَكِيمٌ }

«მოწყალეებანი- მხოლოდ უპოვართათვის, ღატაკთათვის მათთვის მომუშავეთათვის, მათთვის, რომელთა გულების მოგებაც გასურთ, ტყვეთა გამოსასყიდად, ვალებში ჩაფლულთათვის- აუცილებლობაა, ალლაჰისაგან. ალლაჰი ყოვლისმცოდნე, ბრძენია». [თავზა: 60]. უზენაესმა მარხვასთან დაკავშირებით თქვა:

{ شَهْرُ رَمَضَانَ الَّذِي أُنْزِلَ فِيهِ الْقُرْآنُ هُدًى لِّلنَّاسِ وَبَيِّنَاتٍ مِّنَ الْهُدَىٰ وَالْفُرْقَانِ فَمَن شَهِدَ مِنْكُمُ الشَّهْرَ فَلْيَصُمْهُ وَمَن كَانَ مَرِيضًا أَوْ عَلَىٰ سَفَرٍ فَعِدَّةٌ مِّنْ أَيَّامٍ أُخَرَ يُرِيدُ اللَّهُ بِكُمُ الْيُسْرَ وَلَا يُرِيدُ بِكُمُ الْعُسْرَ وَلِتُكْمِلُوا الْعِدَّةَ وَلِتُكَبِّرُوا اللَّهَ عَلَىٰ مَا هَدَاكُمْ وَلَعَلَّكُمْ تَشْكُرُونَ }

«რამადანის თვეა, რომელშიც ზემოვლინებული იქნა ყურანი ჭეშმარიტ გზად ხალხისათვის, და ცხად ცნობარად ჭეშმარიტი

გზის და ბათილის განმასხვავებლად. და თქვენგან ვინც იხილოს ეს თვე, იმარხულოს მასში. და ვინც ავად იყოს ან მგზავრობაში, ამდენივე სხვა დღეებში. ალლაჰის ნებაა თქვენთვის შვება და არა ვნება, და რომ შეასრულოთ ეს რაოდენობა და ადიდოთ ალლაჰი იმისათვის, რომ ჭეშმარიტ გზას დაგადგინათ. ეგებ მაღლიერნი იყოს». [ალ-ბაყარა: 185]. უზენაესმა ჰაჯთან დაკავშირებით თქვა:

{ اَلْحَجُّ اَشْهُرٌ مَّعْلُومَةٌ فَمَنْ فَرَضَ فِيْهَا اَلْحَجَّ فَلَا رَفْثَ وَلَا فُسُوْقَ وَلَا جِدَالَ فِي اَلْحَجِّ وَمَا تَفَعَّلُوا مِنْ خَيْرٍ يَعْلَمُهُ اَللّٰهُ وَتَزُوْدُوْا فَاِنَّ خَيْرَ اَلْزَادِ النَّقُوْىَ وَاتَّقُوْا يٰۤاُولٰٓئِیْهِ }
 {اَلْاَلْبَاب}

«ჰაჯობა ცნობილ თვეებშია და ვინც ამ დროს აღასრულებს ჰაჯს, არ ეთანაცხოვროს (ცოლს), არ იბილწოს, არ იჩხუბოს ჰაჯის დროს; და რასაც კარგს გააკეთებთ- იცის ალლაჰმა: მოიმარაგეთ საგზალი, მაგრამ საუკეთესო საგზალი, ღვთისმოშიშობაა. ჰეი გონიერო, გეშინოდეთ ჩემი!» [ალ-ბაყარა: 197]. ამ ყველა დიდი ღვთისმსახურებისკენ მოუწოდებდა ყველა შუამავალი (მშვიდობა მათ).

25. ისლამის შუამავალი არის: მუჰამმად აბდულლაჰის ძე ისმაილ აბრაამის ძის შთამომავალი (აღლაჰის მშვიდობა იყოს მათზე). დაიბადა მექაში 571 წელს, და იქნა წარგზავნილი მექაში, და გადასახლდა მედინაში. ის არ მონაწილეობდა თავის ხალხთან ერთად კერპთაყვანისცემის რიტუალებში, მაგრამ ის მონაწილეობდა მათთან ერთად ყველა ღირსეულ საქმეში. ის იყო უდიდესი ზნეობის მქონე მის წარგზავნამდე, როგორც შუამავალი და ხალხი უწოდებდა მას - სანდოს. აღლაჰმა წარგზავნა ის ხალხთან, როცა კი მიაღწია ორმოც წელს. და დაამტკიცა აღლაჰმა მისი შუამავლობა უდიდესი საოცრებებით. მათგან ყველაზე დიდი არის - წმინდა ყურანი. ის არის შუამავლების უდიდესი სასწაული. ის არის შუამავლების სასწაულებიდან ერთადერთი, რომელიც სრულად შემოინახა დღევანდელ დღემდე. როდესაც აღლაჰმა სრულყო თავისი

რელიგია და შუამავალმა (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სრულად მიიტანა ის ხალხამდე, როგორც ბოლო ღვთიური წერილი. ამის მერე შუამავალი გარდაიცვალა 63 წლის ასაკში და დაკრძალულ იქნა შუამავლის ქალაქში (მედინაში). მუჰამმად შუამავალი (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იყო მოციქულებისა და შუამავლების ბეჭედი. აღლაჰმა წარგზავნა ის ჭეშმარიტი რელიგიით, რათა გამოიყვანოს ხალხი კერპთაყვანისცემის სიბნელიდან, ურწმუნოებიდან და უმეცრობიდან ერთღმერთიანობის და რწმენის სინათლეზე. და დაამოწმა აღლაჰმა, რომ წარგზავნა ის მომწოდებლად (აღლაჰისკენ) მისი ნებით (აღლაჰის ნებით).

ისლამის შუამავალი მუჰამმად აბდულლაჰის ძე ისმაილ აბრაამის ძის შთამომავალი (აღლაჰის მშვიდობა იყოს მათზე). დაიბადა მეექვსეში 571 წელს, და იქნა წარგზავნილი, და

გადასახლდა მედინაში. ხალხი უწოდებდა მას - სანდოს. ის არ მონაწილეობდა თავის ხალხთან ერთად კერპთაყვანისცემის რიტუალებში, მაგრამ ის მონაწილეობდა მათთან ერთად ყველა ღირსეულ საქმეში. ის იყო უდიდესი ზნეობის მქონე მის წარგზავნამდეც, როგორც დაახასიათა ის ალლაჰმა უმაღლესი ზნეობით, და თქვა მასზე:

{وَإِنَّكَ لَعَلَىٰ خُلُقٍ عَظِيمٍ}

«და ჭეშმარიტად, შენ ადგახარ უმაღლეს ზნეობას». [ალ-ყალამ: 4] ალლაჰმა წარგზავნა ის ხალხთან, როცა მიაღწია ორმოც წელს. და დაამტკიცა ალლაჰმა მისი შუამავლობა უდიდესი საოცრებებით. მათგან ყველაზე დიდი არის - წმინდა ყურანი. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«مَا مِنَ الْأَنْبِيَاءِ نَبِيٍّ إِلَّا أُعْطِيَ مَا مِثْلُهُ آمَنَ عَلَيْهِ الْبَشَرُ وَإِنَّمَا كَانَ الَّذِي أُوتِيتُ وَحْيًا أَوْحَاهُ اللَّهُ إِلَيَّ فَأَرْجُو أَنْ أَكُونَ أَكْثَرَهُمْ تَابِعًا يَوْمَ الْقِيَامَةِ»

«არ არის მოციქულთაგან არცერთი მოციქული, რომ მას სასწაული არ მისცემოდა, რითაც ირწმუნებდა ხალხი, და რაც მომეცა მე (ყველაზე დიდი სასწაული) ეს არის ზეგამოცხადება

(ყურანი), რომელიც შთამეგონა ალლაჰისგან, და იმედი მაქვს, რომ აღდგომის დღეს ჩემი მიმდევართა რაოდენობა უფრო მეტი იქნება, ვიდრე რომელიმე მათგანის». საჰიჰ ალ-ბუხარი. წმინდა ყურანი არის ალლაჰის გზავნილი მის შუმავეალზე (ლოცვა და მშვიდობა მას), უზენაესმა ალლაჰმა თქვა:

{ ذَٰلِكَ الْكِتَابُ لَا رَيْبَ ۚ فِيهِ ۚ هُدًى لِّلْمُتَّقِينَ }

«აი, წიგნი: ექვი არ არის მასში და სწორი გზის მაჩვენებელია ღვთისმოშიშთათვის» [ალ-ბაყარა: 2]. უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

{ أَفَلَا يَتَذَكَّرُونَ ۚ الْقُرْآنَ ۚ وَلَوْ كَانَ مِنْ عِنْدِ غَيْرِ اللَّهِ لَوَجَدُوا فِيهِ اخْتِلَافًا كَثِيرًا }

«ნუთუ არ გაიაზრებენ ყურანს? ეს რომ არ ყოფილიყო ალლაჰის წიადიდან, მასში უამრავ წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ». [ან-ნისა: 82] ალლაჰმა გამოიწვია ადამიანები და ჯინები, რომ დაეწერათ მისი მსგავსი. თქვა უზენაესმა:

{ قُلْ لِّئِنْ اجْتَمَعَتِ الْإِنْسُ وَالْجِنُّ عَلَىٰ أَنْ يَأْتُوا بِمِثْلِ هَٰذَا الْقُرْآنِ لَا يَأْتُونَ بِمِثْلِهِ وَلَوْ كَانَ بَعْضُهُمْ لِبَعْضٍ ظَهِيرًا }

«უთხარი: თუნდაც გაერთიანდნენ ადამიანები და ჯინები იმისათვის, რომ მოიტანონ მსგავსი ამ ყურანისა, ვერ მოიტანენ მის მსგავსს, თუნდაც ერთიმეორეს დაეხმარონ».

[ალ-ისრა: 88]. ასევე, ალლაჰმა გამოიწვია ისინი, რომ შეექმნათ მისი მსგავსი ათი სურა. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{ أَمْ يَقُولُونَ افْتَرَاهُ ۚ قُلْ فَأْتُوا بِعَشْرِ سُوْرٍ مِّثْلِهِ مُفْتَرِيَاتٍ وَادْعُوا مَنْ اسْتَفْتَيْتُمْ مِنْ دُونِ اللَّهِ إِنْ كُنْتُمْ صَادِقِينَ }

«ან ეგებ იტყვიან: მან გამოიგონა იგიო. უთხარი: მაშ, თვენ მოიტანეთ ამის მსგავსი ათი სურა გამოგონილი და უხმეთ იმას, ვისაც თქვენ ემორჩილებით ალლაჰის მაგივრად, თუკი მართალნი ხართ». [ჰუდ: 13] ასევე ალლაჰმა გამოიწვია ისინი, რომ ერთი სურა მაინც მოეტანათ მისი მსგავსი. უზენაესმა ალლაჰმა თქვა: «თუ დაგაეჭვებთ ის, რაც გარდმოვუვლინეთ ჩვენს მსახურს, მაშინ, ერთი სურა მაინც მოიტანეთ ამის(ყურანის) მსგავსი და უხმეთ თქვენს მოწმეებს (ვისიც თქვენ გწამთ) ალლაჰის გარდა თუკი მართალნი ხართ». [ალ-ბაკარა: 23].

წმინდა ყურანი არის ერთადერთი სასწაული შუამავალთა სასწაულებიდან, რომელიც შემორჩენილია დღემდე, როდესაც უზენაესმა ალლაჰმა სრულყო თავისი შუამავლის (ლოცვა

და მშვიდობა მას) რელიგია, მან კი ეს სრულყოფილად გადასცა ხალხს, შუამავალი (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გარდაიცვალა სამოცდასამი წლის ასაკში და დაკრძალულია "შუამავლის ქალაქად" წოდებულ ქალაქ მედინაში.

შუამავალი მუჰამმედი (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არის მოციქულთა და შუამავალთა ბეჟედი. უზენაესი აღლაჰი ბრძანებს:

{ مَا كَانَ مُحَمَّدٌ أَبَا أَحَدٍ مِّن رِّجَالِكُمْ وَلَكِن رَّسُولَ اللَّهِ وَخَاتَمَ النَّبِيِّينَ ۚ وَكَانَ اللَّهُ بِكُلِّ شَيْءٍ عَلِيمًا }

«არ არის მუჰამმედი არავისი მამა, თქვენი კაცებიდან, არამედ იგია აღლაჰის შუამავალი და შუამავალთა ბეჟედია, ჭეშმარიტად, აღლაჰი ყოვლისმცოდნეა». [ალ-აჰზაბ: 40]. აბუ ჰურაირა (აღლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ აღლაჰის შუამავალმა (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«إِنَّمَا مَثَلِي وَمَثَلُ الْأَنْبِيَاءِ مِنْ قَبْلِي كَمَثَلِ رَجُلٍ بَنَى بَيْتًا فَأَحْسَنَهُ وَأَجْمَلَهُ إِلَّا مَوْضِعَ لَبْنَةٍ مِنْ زَاوِيَةٍ فَجَعَلَ النَّاسُ يَطُوفُونَ بِهِ وَيَعْجَبُونَ لَهُ وَيَقُولُونَ هَذَا وَضَعَتْ هَذِهِ اللَّبْنَةُ؟ قَالَ: فَأَنَا اللَّبْنَةُ وَأَنَا خَاتَمُ النَّبِيِّينَ»

«ჩემი და ჩემზე წინ მყოფი შუამავლების მაგალითი ჰგავს იმ კაცის მაგალითს ვინც ააშენა სახლი, დაასრულა და გაალამაზა ის, გარდა ერთი აგურისა, რომელიც აკლდა კუთხეში; ხალხი როცა მას (სახლს) ინახულებდა გაოცებულები კითხულობდნენ: რატომ აკლია ეს ერთი აგური? თქვა: მე ვარ ის აგური, მე ვარ შუამავალთა ბეჭედი». საჰიკ ალ-ბუხარი. ისა შუამავალი (მშვიდობა მას) ინჯილში (ახალ აღთქმაში) სამახარობლოდ ამბობს შუამავალ მუჰამმედზე (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «ქვა, რომელიც დატოვეს მშენებლებმა ის ჭეშმარიტად მოხვდა კუთხის თავში, ნუთუ არასდროს წაგიკითხავთ წიგნებში: იესომ უთხრა მათ: ეს იყო ღმერთისგან, და ის უცნაურია ჩვენს თვალში).[ფსალმუნები 118: 22/23]. და თორას წერილებში რომელიც დღეს არსებობს, მოცემულია ალლაჰის სიტყვები, სადაც მიმართავს მუსას (მშვიდობა მას): «მოვუვლენ მათ შენნაირ წინასწარმეტყველს თავიანთი ძმებიდან, ბაგეზე დაუდებ ჩემს სიტყვებს და იმას ილაპარაკებს რასაც ვუბრძანებ». [კანონი 18: 18].

შუამავალი მუჰამმედი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წარმოგზავნა ალლაჰმა

ჭეშმარიტი გზით და ჭეშმარიტი სარწმუნოებით, ალლაჰმა დაამოწმა რომ ის არის ჭეშმარიტებაზე, და რომ მან წარმოგზავნა ის მისკენ მომწოდებლად მისი ნებით: უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

لَكِنَّ اللَّهَ يَشْهَدُ بِمَا أَنْزَلَ إِلَيْكَ ۖ أَنْزَلَهُ بِعِلْمِهِ ۖ وَالْمَلَائِكَةُ يَشْهَدُونَ ۚ وَكَفَى بِاللَّهِ شَهِيدًا

«მაგრამ ალლაჰი ადასტურებს იმას, რომ რაც გარდმოავლინა შენზე, გარდმოავლინა თავისი ცოდნით, და ამას ადასტურებენ ანგელოზები. და საკმარისია ალლაჰი მოწმედ!» [ან-ნისა: 166]. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

{هُوَ الَّذِي أَرْسَلَ رَسُولَهُ بِالْهُدَىٰ وَدِينِ الْحَقِّ لِيُظْهِرَهُ عَلَى الدِّينِ كُلِّهِ ۚ وَكَفَى بِاللَّهِ شَهِيدًا

«იგია, რომელმაც წარმოგზავნა თავისი შუამავალი ჭეშმარიტი გზითა და ჭეშმარიტი სარწმუნოებით, რათა აღემაღლებინა იგი ყველა სარწმუნოებაზე, და კმარა მოწმედ ალლაჰი». [ალ- ფათჰ: 28]. ალლაჰმა წარმოგზავნა ის ჭეშმარიტი გზით, რათა გამოეყვანა ხალხი უცოდინრობის ურწმუნოების და კერპთაყვანისმცემლობის სიბზელიდან

ერთდმერთიანობისა და რწმენის სინათლეზე.
უზენაესმა ალლაჰმა თქვა:

{يَهْدِي بِهِ اللَّهُ مَنِ اتَّبَعَ رِضْوَانَهُ سُبُلَ السَّلَامِ وَيُخْرِجُهُم مِّنَ الظُّلُمَاتِ إِلَى النُّورِ بِإِذْنِهِ وَيَهْدِيهِمْ إِلَى صِرَاطٍ مُسْتَقِيمٍ}

«უწინამდგრებს მისით ალლაჰი იმას, ვინც
ემებს მის კმაყოფილებას, მშვიდობის გზებზე,
გამოიყვანს მათ სიბნელიდან სინათლეში
თავისი ნებით და უწინამდგრებს პირდაპირ
გზაზე». [ალ-მაიდა: 16]. უზენაესმა ალლაჰმა
ბრძანა:

{الرَّ َّ كِتَابٌ أَنْزَلْنَاهُ إِلَيْكَ لِتُخْرِجَ النَّاسَ مِنَ الظُّلُمَاتِ إِلَى النُّورِ بِإِذْنِ رَبِّهِمْ إِلَى صِرَاطٍ الْعَزِيزِ الْحَمِيدِ }

«ალიფ. ლამ.რა. წიგნი, რომელიც
ზეგარდმოვავლინეთ შენზე, რათა გამოიყვანო
ხალხი წყვდიადიდან სინათლეში, მათი
დმერთის ნებით, ძლევამოსილის,
ყოვლადქებულის გზაზე». [იბრაჰიმ: 1].

26. ისლამის კანონი (შარიათი), რომელიც
მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა
და მშვიდობა მას) მოიტანა, არის ღვთიური
კანონების ბოლო. ეს არის სრულყოფილი
კანონი, რომელიც სიკეთეს მოუტანს

ადამიანებს როგორც მათ რელიგიაში, ასევე
მათი ამქვეყნიური ცხოვრების საქმეებში.
პირველ რიგში, ეს კანონი იცავს რელიგიას,
სიცოცხლეს, ქონებას, გონებას და
შთამომავლობას. ეს კანონი აუქმებს ყველა
წინა კანონმდებლობას, ისე, როგორც ადრე
ყოველი ახალი კანონი აუქმებდა წინა
კანონებს.

ისლამის კანონმდებლობა, რომლითაც
მოვიდა შუამავალი მუჰამმადი (ალლაჰის
ლოცვა და მშვიდობა მას) ღვთიური
წერილებისა და კანონმდებლობების ბეჭედი.
ალლაჰმა ამ წერილით სრულყო თავისი
რელიგია და სრულიად მოიღო მისი წყალობა
ადამიანებზე შუამავალი მუჰამმადის
წარმოგზავნით (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა
მას). უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{الْيَوْمَ أَكْمَلْتُ لَكُمْ دِينَكُمْ وَأَتْمَمْتُ عَلَيْكُمْ نِعْمَتِي وَرَضِيتُ لَكُمُ الْإِسْلَامَ دِينًا}

«დღეს მე სრულვწყავი თქვენი რჯული,
სრულად გიბოძეთ ჩემი წყალობა და თქვენთვის

ისლამის რჯულით ვარ კმაყოფილი». [ალ-მაიდა: 3]

ეს არის სრულყოფილი კანონი, რომელიც სიკეთეს მოუტანს ადამიანებს როგორც მათ რელიგიაში, ასევე მათი ამქვეყნიური ცხოვრების საქმეებში, რადგან მასში თავმოყრილია ყველაფერი, რაც წინა კანონებში იყო, ის ამ კანონებს ავსებს და სრულყოფს. ყოვლისშემძლე ალლაჰმა თქვა:

{ إِنَّ هَذَا الْقُرْآنَ يَهْدِي لِلَّتِي هِيَ أَقْوَمُ وَيُبَيِّنُ الْمُؤْمِنِينَ الَّذِينَ يَعْمَلُونَ الصَّالِحَاتِ أَنَّ لَهُمْ أَجْرًا كَبِيرًا }

«ქვეყნად ეს ყურანი მიუთითებს ყველაზე სწორ გზაზე, და უმახარობლებს მორწმუნეებს, რომლებიც აკეთებენ კეთილ საქმეს რომ მათთვისაა უდიდესი საზღაური».

[ალ-ისრა: 9]. ისლამურმა კანონმა გაათავისუფლა ადამიანები იმ ტვირთისგან, რომელიც წინა თემებზე იყო დადებული. ყოვლისშემძლე ალლაჰმა თქვა:

{ الَّذِينَ يَتَّبِعُونَ الرَّسُولَ النَّبِيَّ الْأُمِّيَّ الَّذِي يَجِدُونَهُ مَكْنُوبًا عِنْدَهُمْ فِي التَّوْرَةِ وَالْإِنْجِيلِ يَأْمُرُهُمْ بِالْمَعْرُوفِ وَيَنْهَاهُمْ عَنِ الْمُنْكَرِ وَيُحِلُّ لَهُمُ الطَّيِّبَاتِ وَيُحَرِّمُ عَلَيْهِمُ الْخَبَائِثَ وَيَضَعُ عَنْهُمْ إِصْرَهُمْ وَالْأَغْلَالَ الَّتِي كَانَتْ عَلَيْهِمْ ۚ فَالَّذِينَ آمَنُوا بِهِ وَعَزَّرُوهُ وَنَصَرُوهُ وَاتَّبَعُوا النُّورَ الَّذِي أُنْزِلَ مَعَهُ ۙ أُولَٰئِكَ هُمُ الْمُفْلِحُونَ }

«რომელნიც მიჰყვებიან შუამავალს, წერაკითხვის უცოდინარ მოციქულს, ვიზედაც ნახავენ დაწერილს თავიანთ თევრათსა და ინჯილში. (რომელიც) გიბრძანებთ თქვენ კეთილ საქმეს და გიკრძალავთ საძულველს, და ნებას გრთავთ კეთილ ნაყოფს და გიკრძალავთ სისაძაგლეს. და ჩამოხსნის იგი მათ ტვირთებს და ხუნდებს, რაც ედოთ. და ისინი რომელთაც ირწმუნეს მისი, მიეშველნენ, დაეხმარნენ, და მიჰყვებოდნენ შუეს, მათთან რომ გარდმოევლინა, ნეტარნი სწორედ ისინი არიან».

[ალ-ა'რაც: 157].

ისლამურმა კანონმა გააუქმა სხვა უწინარესი კანონები. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{ وَأَنْزَلْنَا إِلَيْكَ الْكِتَابَ بِالْحَقِّ مُصَدِّقًا لِمَا بَيْنَ يَدَيْهِ مِنَ الْكِتَابِ وَمُهَيِّمًا عَلَيْهِ ۖ فَاحْكُم بَيْنَهُم بِمَا أَنْزَلَ اللَّهُ ۚ وَلَا تَتَّبِعْ أَهْوَاءَهُمْ عَمَّا جَاءَكَ مِنَ الْحَقِّ ۚ لِكُلِّ جَعَلْنَا مِنْكُمْ شِرْعَةً وَمِنْهَاجًا ۚ وَلَوْ شَاءَ اللَّهُ لَجَعَلَكُمْ أُمَّةً وَاحِدَةً وَلَكِنْ لَيَبْلُوَكُمْ فِي مَا آتَاكُمْ ۚ فَاسْتَبِقُوا الْخَيْرَاتِ ۚ إِلَى اللَّهِ مَرْجِعُكُمْ جَمِيعًا فَيُنَبِّئُكُمْ بِمَا كُنْتُمْ فِيهِ تَخْتَلِفُونَ }

«და გარდმოგივლინეთ შენ წიგნი ჭეშმარიტებით, დასტურად იმ წიგნთა, რაც იყო მანამდე და მის დამცველად '. განსაჯე მათ შორის იმის მიხედვით, რაც გარდმოგივლინა

აღლაჰმა და ნუ აჰყვები მათ სურვილებს, რამეთუ შენ გებომა ჭეშმარიტება. ჩვენ თითოეულ თქვენგანს დავუდგინეთ კანონი და გზა. და რომ ინებოს აღლაჰმა, გაქცევდათ თქვენ ერთიან თემად. მაგრამ გამოგცდით იმიტო, რაც გებომათ. ეცადეთ შეეჯიბროთ ერთმანეთს კეთილი საქმეების კეთებაში. ყველანი აღლაჰთან დაბრუნდებით და იგი განგიცხადებთ იმას, რაზედაც ვერ თანხმდებოდით». [ალ-მაიდა: 48]. წმინდა ყურანი, რომელიც მოიცავს კანონებს მოვიდა დასტურად, რაც მასზე წინ იყო ღვთიურ წიგნებში, ყურანი მოვიდა მათ სამართავად და გააუქმა ისინი.

**27. წმინდა და დიდებული აღლაჰი არ
ღებულობს სხვა რელიგიას გარდა
ისლამისა, რომლითაც მოვიდა მუჰამმად
შუამავალი (აღლაჰის ღოცვა და მშვიდობა
მას) და ვინც მიიღებს სხვა რელიგიას**

ისლამის გარდა - არ იქნება მიღებული მისგან.

წმინდა და დიდებული ალლაჰი მუჰამმადის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წარმოგზავნის შემდეგ არ ღებულობს სხვა რელიგიას გარდა ისლამისა, რომლითაც მოვიდა მუჰამმადი შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და ვინც მიიღებს სხვა რელიგიას ისლამის გარდა არ იქნება მიღებული მისგან. უზენაესი ალლაჰი ამბობს:

{وَمَنْ يَبْتَغِ غَيْرَ الْإِسْلَامِ دِينًا فَلَنْ يُقْبَلَ مِنْهُ وَهُوَ فِي الْآخِرَةِ مِنَ الْخَاسِرِينَ}

«და ვინც ეძიებს ისლამის გარდა სხვა სარწმუნოებას, მისგან არ მიიღება იგი, და საიქიოში იქნება წაგებულითა შორის» [ალი იმრან: 85]. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

